



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტი
კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: სასამართლო მედიაცია და საკანონმდებლო რეგულირების
თავისებურებანი

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

თამრიკო ფარცვანია

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი

ნიკოლოზ ფიცხელაური

თბილისი

2020

სარჩევი

| | |
|---|----|
| შესავალი..... | 5 |
| 1. ლიტერატურის მიმოხილვა..... | 7 |
| 2. მედიაციის ცნება..... | 9 |
| 2.1. ზოგადი არსი და მახასიათებელი პრინციპები..... | 9 |
| 3. მედიაციის პროცესი..... | 13 |
| 3.1. მედიატორის როლი პროცესის დაწყებისას..... | 13 |
| 4. სასამართლო მედიაცია..... | 19 |
| 4.1. სასამართლო მედიაციის არსი და მნიშვნელობა..... | 19 |
| 5. სავალდებულო მედიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები..... | 22 |
| 5.1 ზოგადი მიმოხილვა..... | 22 |
| 6. სასამართლო მედიაცია საქართველოში..... | 26 |
| 6.1. დავის მორიგებით გადაწყვეტის ისტორიული მიმოხილვა ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით..... | 26 |
| 6.2. სავალდებულო სასამართლო მედიაცია სამოქალაქო საპროცესო კოდექსში..... | 28 |
| 6.3. დავის სავალდებულო წესით მედიატორისთვის გადაცემის საკითხი..... | 29 |
| 6.4. სასამართლო მედიაციის განსახილველი დავები..... | 30 |
| 6.5. მედიატორის აცილების საკითხი..... | 33 |
| 6.5.1. სასამართლო მედიაციაში დავის განხილვის ვადა..... | 34 |
| 6.5.2. სასამართლო მედიაციაზე მხარეთა გამუცხადებლობის შედეგები..... | 35 |
| 6.5.3. სასამართლო მედიაციის დასრულება..... | 36 |
| 7. მედიატორი..... | 36 |
| 7.1. მედიატორის კვალიფიკაცია და ვალდებულებები..... | 36 |
| 8. კონფიდენციალობა..... | 40 |
| 8.1. კონფიდენციალობის პრინციპის შეზღუდვის მექანიზმი..... | 40 |
| 9. მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლებთან დაკავშირებული ხარვეზები..... | 42 |
| 10. სასამართლო მედიაციის გამოწვევები საქართველოში..... | 45 |
| 10.1. ინსტიტუტის დამკვიდრებასთან დაკავშირებული ხარვეზები..... | 45 |
| 11. საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციები..... | 46 |
| 11.1. საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციები..... | 46 |
| 12. კვლევის შედეგები..... | 50 |
| დასკვნა..... | 51 |
| გამოყენებული ლიტერატურა..... | 54 |

ანოტაცია

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება - მედიაცია დღესდღეობით საქართველოში საკმაოდ ფართოდ იკიდებს ფეხს და ინტერესიც ბევრად გაიზარდა ამ სფეროს მიმართ, ვიდრე საწყის საფეხურებზე, რამეთუ სასამართლოს გვერდით ავლით, ნაკლები დროისა და დანახარჯის ფონზე სასურველი შედეგის მიღწევის შესაძლებლობა საკმაოდ მიმზიდველად ჟღერს.

საზოგადოების მხრიდან ნდობოს მოპოვების პროცესში ამ ინსტიტუტის მიმართ საკმაოდ დიდი როლი ითამაშა „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამ, რადგან სამართლებრივად რეგულირებული პროცესი თავისთავად იწვევს დაცულობის შეგრძნებას. შედეგად, სასამართლოში შემცირდა საქმეთა ნაკადი, რაც ხელს უწყობს როგორც სასამართლო სისტემის მუშაობის ხარისხის გაზრდას, ასევე დავების ისე მოგვარებას, რომელიც ორიენტირებულია ორივე მხარის კეთილდღეობაზე. ნაშრომში განხილულია მედიაციის ერთ-ერთი სახე - სასამართლო მედიაცია, როგორც დავის განხილვის ალტერნატიული საშუალება. გაანალიზებულია რატომ არის მნიშვნელოვანი; რა უპირატესობები გააჩნია მას, როგორც სასამართლოს მიერ რეგულირებულს, დავის განხილვის ტრადიციულ მეთოდთან შედარებით; რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს სასამართლო მედიაციის პროცესს და რა თავისებურებები ახასიათებს მის საკანონმდებლო რეგულირებას; რა ხარვეზები არსებობს პროცესთან მიმართებით და როგორია პრაქტიკა ამ კუთხით. ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით სასამართლო მედიაციის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და შეაფასოს მოძიებული მასალის მიხედვით აწ უკვე დამკვიდრებული ინსტიტუტის მოქმედების შედეგები.

Annotation

A form of alternative dispute resolution – mediation has already spread in Georgia and it became more and more interesting institute for our citizens. Mediation means to avoid of traditional court proceedings, to save money and time. The rising popularity of mediation can be explained to get a new Georgian Law about mediation, which is the best way to regulate legal relationships. As a result, court proceedings have reduced, quality of judiciary has increased and resolving disputes are more profitable for both parties.

The work is based to on the review of the court's mediation, as a form of alternative dispute resolution. The present analysis is oriented to familiarize the reader with good and bad sides of court's mediation, why is it important, what kind of regulations exist about court's mediation, has it a lot of defects or not in practice

The purpose of the work is to represent practical and theoretical issues for developing court's mediation in Georgia and summarizing the results of this institute.

შესავალი

თემის აქტუალობა

საქართველოში ზოგადად მედიაციის ინსტიტუტი არც ისე დიდი ხანია დაარსდა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მედიაციის ისტორია, ერთი მოსაზრებით, დაახლოებით 40 წლის წინ დაიწყო ამერიკაში. მედიაციამ, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის გზამ, არც თუ ისე რთულად მოიკიდა ფეხი საქართველოში, რადგან ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე, საზოგადოება ოდითგანვე იყო მიჩვეული ერთმანეთთან კომფლიქტის სხვა, გარეშე, გავლენიანი პირის ჩარევით მოგვარებას. მთავარი ამ ყველაფერში ნდობის საკითხი იყო ამ ინსტიტუტისადმი. ნაშრომში განსახილველი სასამართლო მედიაცია საქართველოში არსებობის დაახლოებით 10 წელს ითვლის, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მისი მარეგულირებელი მუხლები 2011 წლის დეკემბრიდან არის შეტანილი. მას შემდეგ ამ მუხლებმა განიცადა რამდენიმე სახის ცვლილება, რომლებსაც განვიხილავთ ნაშრომში.

საუკუნეების განმავლობაში ადამიანები დავის გადასაწყვეტად მიმართავდნენ სასამართლოს, და შესაძლოა ითქვას, რომ ამდენივე ხნის განმავლობაში ეძებდნენ დავის განსახილველ ალტერნატიულ საშუალებას. მსოფლიოს მასშტაბით ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნა ამ ინსტიტუტის მიმართ, რაც გამოიწვია მისმა შესაძლებლობებმა დავის განხილვის ძალიან ბევრი კომპონენტის მიხედვით.¹

საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც საზოგადოებაში არსებობს გარკვეული სახის პროტესტი, როცა დღეს მოქმედი კანონმდებლობით კონკრეტული დავები მოსამართლის მიერ მხარეთა ნების მიუხედავად გადაეცემა სასამართლო მედიაციას მოგვარების მიზნით. შესაბამისად, პრაქტიკაში დამკვიდრებულია მაგალითები, როცა მხარეები მედიაციის პროცესებს ესწრებიან მოჩვენებითად, მრიგების მომხრე მხარის იმიჯის შესაქმნელად, შემდეგ კი წყვეტენ პროცესებს და მაინც სასამართლოში გადაინაცვლებენ ხოლმე დავის განსახილველად.

აქ ძალიან მნიშვნელოვანია ზოგადად მედიაციის ძირითადი პრინციპის - ნებაყოფლობითობის საპირწონედ სასამართლოს განჩინება, რომელიც მხარეებს ავალებს დავის მოსაგვარებლად მედიაციაში გადაინაცვლონ და ეს კონკრეტული განჩინებაც არ საჩივრდება. თუმცა, უნდა აღინიშნოს

¹ აბრამიშვილი ა., მედიაციის სისტემების შედარებითი ანალიზი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის მაგალითზე, საქართველოში მედიაციის განვითარების პერსპექტივა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2017.

ისიც, რომ დავის გადაწყვეტის დანიშნულების მქონე, ყველაზე გარანტირებული ინსტიტუტი-სასამართლო, ზოგ შემთხვევაში სულაც არ არის მხარეთა სამართლებრივი პრობლემების მოგვარების საუკეთესო გზა. ამიტომაცაა, რომ „ცუდი მორიგება უკეთესია, ვიდრე კარგი პროცესი“.²

კვლევის მიზნები

წინამდებარე კვლევის მიზანია: საქართველოში სასამართლო მედიაციის სამართლებრივი რეგულირების თავისებურებების გაანალიზება და კანონმდებლობის ხარვეზით გამოწვეული პრაქტიკული პრობლემების განხილვა და მათი აღმოფხვრის გზების განსაზღვრა;

კვლევის ამოცანები

საკანონმდებლო ნორმებისა და პრაქტიკის მიმოხილვის შემდეგ სამართლებრივი რეგულირების თავისებულების შესახებ დასკვნის გაკეთება.

მეთოდოლოგია

თემაზე მუშაობისას, კვლევა ვაწარმოე თეორიულ მასალაზე დაყრდნობით. თეორიული მასალა იყო სამეცნიერო თუ ნორმატიული ლიტერატურა, რომლებზეც მოგახსენებთ ლიტერატურის მიმოხილვისას. მიუხედავად საკითხის აქტუალობისა, წიგნები და სტატიები სასამართლო მედიაციაზე ძალზე მწირია, დიდი დახმარება გამიწია ინტერნეტ-რესურსებმაც და სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტების მიერ შედგენილმა სადოქტორო ნაშრომებმა, რომლებიც მითითებულია სქოლიოშიც და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალშიც.

² გ.ცერცვაძე- მედიაცია. გამომცემლობა მერიდიანი, გვ. 31.

1. ლიტერატურის მიმოხილვა

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო მედიაციასთან დაკავშირებით ქართულენოვანი სახელმძღვანელოები მწირია, ნაშრომის წერისას გამოვიყენე თითქმის ყველა ის შესაძლო ნაშრომი თუ სტატია, ან წიგნი, რომელიც დამეხმარა, რომ შევხებოდი ყველა მნიშვნელოვან დეტალს, რომელიც პირველ რიგში ჩემთვის იყო საინტერესო და ესენია:

გიორგი ცერცვაძის წიგნი-მედიაცია, სადაც ზოგადად მიმოხილავს ამ სფეროს, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ გზას და ეხება მის ერთ-ერთ სახეს, სასამართლო მედიაციასაც; ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა ჩემთვის „მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში“ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის მიერ 20013 წელს შექმნილი ნაშრომი, რომელშიც განხილულია კლასიკური მედიაციის ერთ-ერთი სახეცვლილების, სასამართლო მედიაციის, ანუ სავალდებულო მედიაციის ხარვეზები, როგორცაა ნებაყოფლობითობის პრინციპის დარღვევა. ასევე, ნაშრომში საუბარია მედიაციის პროცესზე და აქ განხილული დეტალები ძალიან დამეხმარა უშუალოდ აღმეკვა მედიაციასთან დაკავშირებული პროცედურები; ირაკლი ყანდაშვილის სტატია მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ახალი ფორმის და მისი საკანონმდებლო მოწესრიგების პერსპექტივაზე საქართველოში, რომელშიც განხილულია მედიაციის არსებული სამართლებრივი მოწესრიგება და ხაზგასმულია მისი შემდგომი საჭიროება;

ნაშრომზე მუშაობისას ძალიან დამეხმარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის ალექსანდრე წულაძის სადოქტორო ნაშრომი სასამართლო მედიაციის ქართულ მოდელზე, სადაც კონკრეტულად არის ხაზგასმული სასამართლო მედიაციის საქართველოს მოდელის ხარვეზები; იგივე საკითხებია განხილული ანუკი აბრამიშვილის „საქართველოში მედიაციის განვითარების პერსპექტივა“-ში. ირაკლი ყანდაშვილის „მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები“, რომელშიც ასევე განხილულია სასამართლო მედიაციის პროცესი, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით; ანა გურიელის-„მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოებასთან მიმართებაში“, სადაც საუბარია მოსამართლის როლზე სასამართლო მედიაციის დროს და ასევე ამ საკითხთან დაკავშირებით საკანონმდებლო მოწესრიგების აუცილებლობასთან. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტის ანა გვენცაძის ნაშრომი – „მედიაციის უპირატესობები სასამართლო განხილვასთან შედარებით“, რომელშიც ძალიან კარგად აქვს განმარტებული „სამედიაციო“ დავების არსი, და მედიაციის უპირატესობები სასამართლოში დავის განხილვასთან შედარებით.

ჩამოთვლილ ნაშრომებში დეტალურად არის განხილული სასამართლო მედიაციის მარეგულირებელი ნორმები, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, ინსტიტუტის სრულყოფილად დანერგვის პერსპექტივა საქართველოში და ასევე არსებული ხარვეზები.

გამოვიყენე ასევე, მოსამართლეთა- ნინო გვენცაძის, ევა გოცირიძის, ვახტანგ თორდიას, ლევან მურუსიძისა და კახა სოფრომაძის კოლეგიის მიერ შედგენილი კრებული „მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე“ სასამართლო მედიაციის საკითხებთან დაკავშირებით, რადგან ძალიან საინტერესო იყო მოსამართლეების მიერ გამოთქმული შეფასებების გაცნობა სასამართლო მედიაციასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ“, 2020 წელს დაამტკიცა მედიატორთა სერთიფიცირების პროგრამა, რომელმაც, როგორც იქნა, გასცა პასუხი მედიატორის ვინაობასთან, კვალიფიკაციასთან, მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებთან დაკავშირებულ უამრავ კითხვას პასუხი და თავისთავად, ეს სიახლე ძალიან ისტორიული მნიშვნელობის მქონეა საქართველოში მედიაციის ინსტიტუტის განვითარების გზაზე.

გარდა ამისა, ნაშრომში გამოყენებულია ნორმატიული მასალაც, კერძოდ: საქართველოს კანონი მედიაციის შესახებ; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სასამართლო მედიაციასთან დაკავშირებული მუხლები.

2. მედიაციის ცნება

2.1. ზოგადი არსი და მახასიათებელი პრინციპები

რაც არ უნდა მოწესრიგებული იყოს საზოგადოებრივი ყოფა და რაც არ უნდა გამართულად მუშაობდნენ სამართალთან დაკავშირებული ინსტიტუტები, საზოგადოება მაინც ცერ აცდება სოციალურ დავებს, რადგან ის დღემდე ადამიანების ცხოვრების თანმდევი ჩვეულებრივი მოვლენაა. თუმცა, როგორც კი მხარეები სასამართლოს მიმართავენ აღნიშნულის გასარკვევად, უმაღლესი იქცევა ხოლმე სამართალური თვითობად, რომლის დასასრულს ძალიან ბევრი ობიექტური მიზეზის გამო ორივე მხარე ხშირ შემთხვევაში რჩება დაზარალებული.³

მედიაცია დავის სასამართლოს გარეშე, ალტერნატიული გადაწყვეტის ერთ-ერთი მეთოდია, რომელიც აბსოლიტურად დამყარებულია მხარეთა ნებაყოფლობითობაზე, ორიენტირებულია დროის მცირე მონაკვეთში, ნაკლები დანახარჯებით, დავის ორივე მხარისთვის მისაღები მოლაპარაკების წარმოებაზე შესაბამისი შედეგით და მიმინარეობს მედიატორის მონაწილეობით, რომელიც ზრუნავს ყოველივე ზემოაღნიშნულის უზრუნველყოფაზე. მედიაციის ნებაყოფლობითობა გამოიხატება იმაში, რომ მხარეებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს შეწყვიტონ პროცესი და დავა გადაიტანონ სასამართლო დარბაზში, რამეთუ მედიატორის თანდასწრებით მოლაპარაკებების წარმოებაც მთლიანად არის მხარეების ნება-სურვილზე დამოკიდებული. მედიაციის მთავარი არსი არის ის, რომ მოლაპარაკების წარმოების ბოლოს მხარეებს შორის შენარჩუნდეს ის სოციალური ურთიერთობა, რომელიც დავის წარმოშობამდე ჰქონდათ. ამ დროს არ არსებობს დავაში გამარჯვებული ან დამარცხებული მხარე და საბოლოოდ საქმე სრულდება ორივე მხარის მიერ მცირედი დათმობის ხარჯზე მიღწეული მოლაპარაკებით, რომელიც არ იწვევს მათ შორის უსამართლობის განცდას.⁴

მედიაცია არ არის ინსტიტუტი, რომელიც დავის რაიმე სახით გადაწყვეტის გარანტიას იძლევა. კოდექსით ნორმატიულად გათვალისწინებული სასამართლო მედიაციის განსახილველი საქმეების ჩამონათვალის გარდა დოქტრინაში ჩამოყალიბებული პრაქტიკიდან გამომდინარე, არსებობს

³ გვენცაძე ა. მედიაციის უპირატესობები სასამართლო განხილვასთან შედარებით, თბილისი 2020.

⁴ ცერცვაძე გ. და სხვები., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013, 13.

გარკვეული მიდგომები დავების შინაარსთან დაკავშირებით, რომლების ამ ტიპის განხილვამ შეიძლება პოზიტიური შედეგი მოიტანოს. ძირითადად იკვეთება ისეთი დავები, რომლებშიც მოდავე მხარეებს შორის კონფლიქტი ჯერაც არ არის გადაწყვეტილი; შემთხვევები, როცა მხარეებს გააზრებული აქვთ, რომ საკითხის მოგვარება თვითონაც შეუძლიათ და იმ მომენტისთვის, როცა ურთიერთობა დამაბუღია, ვერ ახერხებენ მესამე პირის ჩართვის გარეშე ერთმანეთთან კონტაქტს. მთავარი ამ სამ კომპონენტში არის ის, რომ არცერთ მხარეს აღარ უნდა უნდოდეს კონფლიქტის გაგრძელება.⁵

მედიაციის განვითარების დაახლოებით ორმოცწლიანი ისტორიის ბოლოს გავრცელებული მოსაზრებით ADR არის არა ალტერნატივა მართლმსაჯულების, არამედ ალტერნატიული მართლმსაჯულება.⁶ რიგ შემთხვევებში ის მოიაზრება როგორც დავს „მეგობრულად“ დასრულების საშუალება.⁷

როგორც დასაწყისშივე აღინიშნა, მედიაციის ერთერთი განმსაზღვრელი კომპონენტია ნებაყოფლობითობა. საყოველთაოდ მიღებული მოსაზრებით, მედიაციის სრულყოფილად განხორციელებისათვის აუცილებელია მხარეები მასში თავიანთი ნებით მონაწილეობდნენ.⁸ ზოგადად, მედიაცია ეფუძნება ხუთ განსხვავებულ პრინციპს და ესენია: კონფიდენციალურობა; ნებაყოფლობითობა; უფლებამოსილებათა მინიჭება; ნეიტრალურობა და გადაწყვეტის გზის უნიკალურობა და ორიგინალურობა. რომელიმე მათგანის გარეშე ის არ არის მედიაცია. მას ასევე აქვს ხუთი ძირითადი მიზანი:

1. კონკრეტული კონფლიქტის სწორად მოგვარება;
2. სუსტი მხარის ინტერესის მაქსიმალურად გათვალისწინება და საბოლოოდ კონფლიქტის ორივე მხარი სასარგებლოდ მოგვარება;
3. კონფლიქტის გადაწყვეტის გზების მხარეებთან ერთად მოგვარება;
4. დავის მშვიდობიანი გადაწყვეტა და

⁵ გვენცაძე ა. მედიაციის უპირატესობები სასამართლო განხილვასთან შედარებით, თბილისი 2020.

⁶ ყანდაშვილი ი. საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი 2018, 21.

⁷ იქვე 23

⁸ წულაძე ა. სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016, 20.

5. ერთი კონფლიქტის მოგვარებით სხვა საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარება.⁹

სწორედ ამ კომპონენტების გამო, მედიაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადადგმული ნაბიჯია ცივილური სამყაროსკენ, რადგან ამ ინსტიტუტით წერტილი ესმევა ეპოქას, როცა სასამართლო დავისას წაგებული მხარე ყოველთვის ცდილობდა გადაწყვეტის აღსრულება მაქსიმალურად გაეწეა დროში სხვადასხვა პროცესუალური მაქინაციებით. მედიაციისას მიღწეული შეთანხმება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას. შესაბამისად ეს პრობლემა მოხსნილია.¹⁰

მედიაცია ძალიან მნიშვნელოვანი ინსტიტუტია ბიზნესისთვის. ცნობილია, რომ მსხვილი კორპორაციები ერთმანეთს შორის წარმოშობილ დავებს განიხილავენ მედიაციის საშუალებით. საყოველთაოდ აღიარებული შეხედულების მიხედვით, სასამართლო მაინც კონსერვატიული ინსტიტუტია. ხშირად ის ვერც პასუხობს მოთხოვნებს, რომელიც საერთაშორისო ბიზნესს დააკმაყოფილებს. ერთის მხრივ ეს განპირობებულია იმით, რომ ამ კორპორაციებს ურჩევნიათ, რომ დავა, რომელმაც შესაძლოა გარკვეულწილად შელახოს მათი რეპუტაცია, მოაგვარონ აბსოლიტურად კონფიდენციალურ გარემოში და თან ისე, რომ პრობლემა შეწყდეს და არ ქონდეს გაგრძელება. მეორეს მხრივ, პრობლემაა ისიც, რომ ზოგჯერ თვითონ მოსამართლეები არ არიან საკმარისად კომპეტენტურები ბიზნესისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ საკითხებში. ხშირად, ეს პრობლემა იწვევს ახალ პრობლემას დავის ამა თუ იმ შედეგით დასრულების შემდეგაც, რადგან მოსამართლეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები ხშირად საჭიროებს ცალკე განმარტებებს და ეს ცალსახად წყაროა შემდგომი და ახალი გაუგებრობებისა. შესაბამისად, ეს ბიზნეს საზოგადოება ითხოვს უფრო კომპეტენტურ, პროფესიულ და სანდო ინსტიტუტს, რომელიც შეძლებს გაუმკლავდეს საქმისთვის ძალიან მნიშვნელოვან მცირე დეტალებს, რამაც შესაძლოა დიდი გავლენა იქონიოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე. ზემოთთქმული ფაქტიურად გამორიცხულია მედიაციის შემთხვევაში,¹¹ რადგან მხარეებს აქვთ შესაძლებლობა თვითონ აირჩიონ თუნდაც მათთვის საჭირო სპეციფიკის მცოდნე მედიატორი. ასევე, თვითონ განსაზღვრონ რომელი საკითხი უფრო პრიორიტეტულია მათთვის და რა მტკიცებულებები გამოიყენონ კონფიდენციალობის მკაცრად დაცვის ფონზე ძალიან უშიშრად. კომფორტს ზრდის ფაქტი, რომ მხარეებს შეუძლიათ

⁹ გვენცაძე ა. მედიაციის უპირატესობები სასამართლო განხილვასთან შედარებით, თბილისი 2020.

¹⁰ <https://www.myadvokat.ge/ka/about/11/mediacia> 19.07.2020წ 11:38.

¹¹ გვენცაძე ა. მედიაციის უპირატესობები სასამართლო განხილვასთან შედარებით, თბილისი 2020.

ნებისნერ დროს შეწყვიტონ კიდევაც საქმის მედიატორთან განხილვა და გადაინაცვლონ სასამართლო დარბაზში.

გერმანულ სამართალში მედიაცია მოიაზრება მორიგებად, შეთანხმებად და იქ დამკვიდრებული აზრის მიხედვით ეს არის არასასამართლო წესით დავის გადაწყვეტა.¹²

„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, მედიაცია არის პროცესი, მისი სახელწოდების მიუხედავად, რომლის საშუალებითაც მხარეები მედიატორის დახმარებით ცდილობენ დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას და არ აქვს მნიშვნელობა ეს პროცესი დაწყებულია მხარეთა ინიციატივით თუ კანონით გათვალისწინებული საფუძვლით დაწყებით.¹³

შესაბამისად, მედიაცია არის მხარეთა თავისუფალ ნებაზე დამყარებული პროცესი. მხარეთა შორის დავას, საბოლოოდ მოლაპარაკებისკენ მაქსიმალურად წარმართავს მედიატორი, რომელსაც არ აქვს უფლება მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება დავასთან დაკავშირებით, რადგან ეს თავად მხარეების ნება და პასუხისმგებლობაა. მიუხედავად იმისა, რომ მედიაციის ცნება სწორედ ამ განმარტებას მოიცავს სრულად და ამ აუცილებლობების გარეშე შეუძლებელია პროცედურა მედიაციად ჩაითვალოს, დროთა განმავლობაში იურისტების მუშაობისა თუ პრაქტიკიდან წარმოშობილი მოთხოვნების კვალდაკვალ მან მაინც განიცადა გარკვეული ცვლილებები და შეიძინა ახალი მიმართულებები, რომლებიც ამ განმარტებას უკარგავს უნივერსალურობას და სწორედ აქედან წარმოშობილი პროდუქტია -სასამართლო მედიაცია.¹⁴

¹² ცერცვაძე გ., მედიაცია-დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისი, მერიდიანი, 2010, 41.

¹³ <https://matsne.gov.ge/document/view/4646868?publication=1> 20.07.2020 12:17.

¹⁴ ცერცვაძე გ., მედიაცია-დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისი, მერიდიანი, 2010, 37.

3. მედიაციის პროცესი

3.1. მედიატორის როლი პროცესის დაწყებისას

როცა მხარეების მედიაციის პროცესში ერთვებიან, მათი ემოციური მდგომარეობა საკმაოდ სხვადასხვაგვარია. დასაწყისშივე, მედიატორმა უნდა შექმნას მხარეებისთვის კომფორტული და უსაფრთხო გარემო. ეს მოიცავს როგორც მხარეთა ფიზიკურად განლაგებას ოთახში სადაც მიმდინარეობს მედიაცია, ისევე მედიატორის შესავალ სიტყვას, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს: მხარეთა წარდგენა, მათი წახალისება ურთიერთთანამშრომლობაზე, მედიაციისა და მედიატორის როლის განმარტება, მიუკერძოებლობისა და ნეიტრალურობის განმარტება, პროცედურის აღწერა, განცალკევებული შეხვედრების დანიშვნის აუცილებლობის შესახებ ინფორმაცია, კონფიდენციალურობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ტექნიკური დეტალების- განრიგი, შეხვედრების ხანგრძლივობა-აღწერა, შეხვედრაზე ყოფნისას ქცევის წესების შესახებ რეკომენდაციები, პასუხი მხარეების კითხვებზე ასეთის არსებობის შემთხვევაში და გაერთიანებულ შეხვედრებზე დასწრების ვალდებულების განმარტება.¹⁵ როგორც ვხედავთ შესავალ ნაწილს უდიდესი მნიშვნელობა აქვს დავის შემდგომი წარმართვისთვის. შესაბამისად მედიატორმა ძალიან დაკვირვებით უნდა შეარჩიოს ეს სიტყვები, რომელსაც ამ დროს ამბობს. როგორც ვიცით ადამიანები სწორედ საუბრის დასაწყისსა და დასასრულში ნათქვამ სიტყვებს აქცევენ უფრო მეტ მნიშვნელობას. ამიტომაც მედიატორს უნდა ქონდეს წინასწარ შედგენილი სტანდარტი, თუ როგორ უნდა ისაუბროს ამა თუ იმ პროცესზე და რა ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მხარეებს. შესავალი სიტყვა ერთგვარი საინფორმაციო სახის გამოსვლაა მთელი მედიაციის პროცესის შესახებ და ეს მხარეებს აძლევს საშუალებას ერთის მხრივ გაეცნოს ზოგადად მედიაციას როგორც პროცესს და მეორეს მხრივ ჩამოაყალიბოს, დაგეგმოს ის ნაბიჯები, რომლებსაც გადადგამს ამ პროცესის განმავლობაში. ამასთან, ისე ამ შესავლით ეცნება მედიატორს, აკვირდება და უყალიბდება მის მიმართ გარკვეული შეხედულებები. ამ დროს უყალიბდება ნდობის შეგრძნება, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია მთელი პროცესისთვის.¹⁶

მედიატორის მისასალმებელი სიტყვა

¹⁵ ცერცვაძე გ. და სხვები., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013, 186.

¹⁶ იქვე, 187.

პირველ რიგში მედიატორმა უნდა წარადგინოს საკუთარი თავი და განმარტოს, როგორ მოხვდა ამ კონკრეტულ საქმეზე სამუშაოდ. ამ დროს მედიატორი ამბობს თავის ვინაობას, უხსნის ვინ შესთავაზა მედიატორობა ამ პროცესზე და ყველა თავისი გამოცდილების შესახებ, რათა მხარეებს ნელ-ნელა ჩააწვთოს მისი სანდოობის შესახებ ფაქტი. ზოგადად, მედიაციის პროცესში მისალმების რაიმე წესის დადგენა შეიძლება ითქვას არასწორია, რადგან რიგ შემთხვევებში შესაძლებელია უბრალოდ ვერ მოხერხდეს ამ წესის დაცვა, ან ჰქონდეს ძალიან ფორმალური სახე გამომდინარე იქედან, რომ შეიძლება მხარეები კარგად იცნობდნენ მედიატორს. ასევე, საკუთარი თავის წარდგენისას მის კვალიფიკაციაზე საუბარი შესაძლოა რომელიმე მხარემ უარყოფითად შეაფასოს და ნდობის მოპოვების ნაცვლად თავი არაკომფორტულად იგრძნოს ურთიერთობაში. შესაბამისად, მისალმების საკითხის მინდობა მედიატორისთვის ჯობია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თვითონ გადაწყვეტს შესაბამის მიმართვის ფორმას.¹⁷

ურთიერთთანამშრომლობა

შესავლის შემდგომ იწყება მედიატორის მოწოდება მხარეების ერთმანეთის მიმართ თანამშრომლობის შესახებ. ტექსტში მედიატორი ულოცავს მხარეებს შესაძლებლობას, რომ დასხდნენ მოსალაპარაკებლად და დადებითად უფასებს ამ გადაწყვეტილებას. ურთიერთთანამშრომლობის უზრუნველყოფა თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, თუმცა ზუსტად არ ვიცით რა იგულისხმება კონკრეტულად მასში. მხარის შექება იმისთვის, რომ მან გადაწყვიტა დავით მედიაციის გზით განხილვა რათქმაუნდა პოზიტიურ განწყობას ქმნის, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია დადებითი აურის შექმნაც. რათქმაუნდა ურთიერთთანამშრომლობის უზრუნველსაყოფად არ არის საკმარისი წინასწარ გაწერილი რამდენიმე სიტყვა, თუმცა მედიატორს შეუძლია აკრძალოს ყოველგვარი კონფრონტაციული წინადადებების თქმა საქმის განხილვისას.¹⁸

მეციაციისა და მედიატორის როლის განმარტება

მედიატორის როლის განმარტება მხარეებს გვრით ერთგვარ სიმშვიდეს და აუცილებლობაც აქედან გამომდინარეობს. ამის შემდეგ მხარეებს აღარ აქვთ განსხვავებული მოლოდინები, რაც ამცირებს მედიატორის მიერ ნათქვამი სიტყვის განსხვავებულად აღქმის შანსს. მართალია დავის დასაწყისშივე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება შეიძლება კარგი აზრი არ იყოს

¹⁷ ცერცვაძე გ. და სხვები., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013,188 .

¹⁸ იქვე. 189.

მხარეებისთვის, რადგან თავიდან ისედაც დამაბულები არიან, მაგრამ მაინც აუცილებელია მათი ინფორმირება მედიატორის როლისა და თვითონ მედიაციის პროცესის დეტალების შესახებ, რადგან ამ დროს მხარეები ზუსტად ხვდებიან რას უნდა ელოდონ ისინი შუამავლისგან. შემდგომ მედიატორი საუბრობს თავის ფუნქციაზე და მედიაციის შედეგებზე. ეს მომენტი ძალიან მნიშვნელოვანია განსაკუთრებით საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ არ მოუკიდებია ფეხი სასამართლო მედიაციას მყარად. ამიტომ, მედიატორმა საკმაოდ ვრცელი განმარტებაც კი უნდა გააკეთოს როგორც თავისი, ისე მხარეების უფლება-მოვალეობების შესახებ. ამ კუთხით მედიატორისა და მხარეების ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება შვადაროთ კლიენტისა და ადვოკატისას, რადგან ამ შემთხვევაშიც არ შეიძლება რაიმე გასაიდუმლოებული იყოს.¹⁹

მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა

ამ კომპონენტის განმარტებისას მედიატორი მხარეებს უხსნის, რომ მას არ გააჩნია არანაირი ინტერესი დავის შეთანხმებით თუ მის გარეშე დასრულების მიმართ და მთელი პროცესის განმავლობაში იქნება მიუკერძოებელი, რამეთუ მას მხარეებთან აკავშირებს მხოლოდ საერთო შეხვედრამდე გამართული რამდენიმე ინდივიდუალური შეხვედრა. ამასთან, უხსნის, რომ ნებისმიერ დროს, როცა რომელიმე მხარე შამჩნევს მიკერძოების ნიშნებს, უფლება აქვს მიუთითოს მედიატორს ამის შესახებ, ან საერთოდაც მოითხოვოს დავის სხვა მედიატორთან განხილვა, ან საბოლოოდ უარი თქვას მედიაციაზე და მიმართოს სასამართლოს. ეჭვის აღმოსაფხვრელად მხარეებს შეუძლიათ მიმართონ მედიატორს ნებისმიერი კითხვით, რაც უზრუნველყოფს მათ მშვიდად ყოფნას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მხარეები საწყის ეტაპზე რთულად იგებენ და სულ ეჭვი ეპარებათ მედიატორის მიუკერძოებლობაში გამომდინარე იქედან, რომ მათი ემოციური ფონი არ აძლევთ ამის მიღების საშუალებას. ამ დროს მოწინავეა „გვემხრობი ან გვეწინააღმდეგები“ პრინციპი და მაინც ყველაზე მნიშვნელოვანია მხარეებს საწყის ეტაპზევე გაუქრეთ ეჭვები მედიატორის მიკერძოებასთან დაკავშირებით. ამისთვის არ არის სავალდებულო მედიატორმა ძალიან ბევრი ილაპარაკონ თავიანთ ნეიტრალურობაზე, რადგან ამან შეიძლება პირიქით გამოიწვიოს მხარეების დაეჭვება მის სიმართლეში. საკმარისი იქნება, თუ მედიატორი

¹⁹ ცერცვაძე გ. და სხვები., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013, 190.

შემოიფარგლება მხოლოდ იმის თქმით, რომ მედიაციის პროცესი ეფუძნება მედიატორის ნეიტრალურობას.²⁰

მედიაციის პროცედურის აღწერა

პროცედურის აღწერა ინდივიდუალური შეხვედრების დროსაც ხდება, ამიტომ ორივე მხარის თანდასწრებისას მისი ხელახალი განმარტება არ არის საჭირო თუ მხარეები თანახმა არიან ამაზე. სხვაგვარად, მედიატორი ვალდებულია ახსნას მხარეთა უფლება-მოვალეობები, მისცეს მათ ახსნა-განმარტების მიცემის შესაძლებლობა, დაუნიშნოს ამისთვის დრო და გააფრთხილოს მხარეები, რომ არ ჩაეჭრნენ ერთმანეთს საუბრისას. ასევე, მიაწოდოს ინფორმაცია, რომ დასვამს მხოლოდ დამაზუსტებელ კითხვებს და ეს არ იქნება მიმართული რომელიმე მხარის უხერხულ მდგომარეობაში ჩაგდებისკენ. ამ ყველაფერთან ერთად მედიატორი უნდა ეცადოს, რომ პროცესის განმავლობაში არ წარმოჩინდეს დავის გადაწყვეტით დაინტერესებულ გავლენიან პირად, რამეთუ ამან შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს მხარეების ეჭვებზე. როგორც ვხედავთ, ეს ეტაპი მოიცავს საკმაოდ სიღრმისეულ განმარტებას და ამ დროს მედიატორმა თავად უნდა გადაწყვიტოს პროცესის განმავლობაში რამდენჯერ გაუმეორებს მხარეს ასეთ საკითხებს ინდივიდუალური მიდგომების გატვალისწინებით.²¹

განცალკევებული შეხვედრების არსის განმარტება

მედიატორმა უნდა განმარტოს, რომ მხარეებს პროცესის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შესაძლოა გაუჩნდეთ სურვილი მოაწყონ განცალკევებული შეხვედრა მედიატორთან. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ შეხვედრების შემდეგ დავა უნდა დასრულდეს შეთანხმებით, პირიქით, ეს უქცობს ხელს მხარეებმა ისაუბრონ ცალკე მედიატორთან ისეთ თემებზე, რომელთა განხილვაც არ სურდათ მეორე მხარის თანდასწრებით. ასეთი შეხვედრების შემდგომ დაცული უნდა იყოს კონფიდენციალობის პრინციპი და მხარემ ეს გარკვევით უნდა იცოდეს. საკმაოდ ფაქიზი თემაა, რადგან მოწინააღმდეგე მხარეს შესაძლოა გაუჩნდეს ეჭვი, ხომ არ აქვს ადგილი რაიმე სახის კოალიციის შექმნას მის წინააღმდეგ. ამიტომაც უმჯობესია თავიდანვე განმარტებული იყოს

²⁰ ცერცვაძე გ. და სხვები., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013, 194.

²¹ იქვე, 195.

მხარეებისთვის, რომ განცალკევებული შეხვედრების მოწყობა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მედიაციის.²²

კონფიდენციალურობის პირობის განსაზღვრა

მედიატორი განმარტავს, რომ მის მიერ დაცული იქნება კონფიდენციალურობა. იქვე მხარეებს აფრთხილებს, რომ მათი საქმე საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით შეიძლება განიხილოს მხოლოდ მის კოლეგასთან და მხარეებსვე სთხოვს ნებართვას ამისთვის. შეთანხმების შემთხვევაში მედიატორი ხელს აწერინებს ნებართვის ფურცელზე მხარეებს და გრძელდება შემდგომი პროცედურები.²³

ტექნიკური დეტალების ახსნა

ამ ეტაპზე მედიატორმა მხარეებს უნდა განუმარტოს პროცესის ყველა დეტალი, მათ შორის შეხვედრების ხანგრძლივობა, ვინაიდან ამ გეგმის მიხედვით ითვლიან მხარეები რა სარგებელი შეიძლება მიიღონ მედიაციით და წყვეტენ უღირთ თუ არა საქმის ამ ინსტიტუტში გაგრძელება. უმჯობესია თუ მხარეები პირველ შეხვედრაზე თვითონ განსაზღვრავენ დროს, შემდეგ კი მედიატორი შეითავსებს ამ ფუნქციას დავის სირთულიდან გამომდინარე. როგორც ვიცით განსაზღვრული უნდა იყოს როგორც თითოეული შეხვედრის ხანგრძლივობა, ასევე მომდევნო შეხვედრების დრო და ადგილი და ეს მხარემ უნდა იცოდეს, რადგან პროცესზე გამოუცხადებლობა იქვევს ჯარიმას.²⁴

პროცესზე ქცევის წესები

ზოგი მედიატორი თვითონ მკაცრად აყალიბებს პროცესზე ქცევის წესებს და არ ცვლის არასდროს. ზოგიც მხარეებთან ერთად აყალიბებს მათ და სავარაუდოდ ეს საბოლოო გადაწყვეტილების ერთად მიღების ძალიან კარგი შთაბეჭდილებაა. რათქმაუნდა კარგი იქნება, თუ ჩამოყალიბდება ქცევის ერთიანი წესი, მაგრამ მედიატორს პროცესის გამხორციელებისას ოსტატურად, ისე რომ არ გააღიზიანოს მხარე, შუძლია დააწესოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე გარკვეული სტანდარტი. ოღონდ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მხარემ არ იგრძნოს მედიაციისთვის დამახასიათებელი ყველაზე მვირფასი პრინციპის- ნებაყოფლობითობის და მხარეთა თავისუფლების შეზღუდვა.

²² ცერცვაძე გ. და სხვები., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013, 196.

²³ იქვე 197.

²⁴ იქვე 198.

მდიატორის მიერ გარკვეული „შეზღუდვები“ ქცევის წესებთან დაკავშირებით უნდა ემსახურებოდეს ისევ და ისევ მხარის თანასწორობას და მის ინტერესს.²⁵

კითხვა-პასუხის ეტაპი

კითხვა -პასუხის ეტაპზე მხარეები და მედიატორები პასუხიბენ ყველა დასმულ შეკითხვას. მანამ, სანამ ყველა კითხვას არ გაეცემა ამომწურავი პასუხი არ შეიძლება გაგრძელდეს მედიაციის პროცესი.²⁶

მედიაციის დაწყების ვალდებულება

მედიაციის დაწყება არის ბოლო პროცედურა, რასაც მედიატორი აკეთებს მხარეების პროცესში ჩართვამდე. ის ამბობს, რომ თუ მხარეებს კითხვები აღარ აქვთ შეუძლიათ გადავიდნენ უშუალოდ საქმის გარემოებების განხილვაზე. იქვე განმარტავს, რომ ყველაფერს გააკეთებ, რათა მხარეებს დაეზმაროს დაინახონ გზები მორიგებისკენ და თუ ეს შესაძლებელი არ იქნება პატივისცემით დაასრულონ პროცესი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაწილი ძალიან ფორმალურია და შესაძლებელია საერთოდ არ არსებობდეს ამის შესახებ ვალდებულება, რადგან ყველა იმ ეტაპის გამოვლის შემდეგ, რაც ზემოთ ავხსენით, ლოგიკურია, რომ სიტყვა მიეცეთ მხარეებს. შეთანხმების მიღწევისას მედიატორი ხელს აწერს გადაწყვეტილებას და ოფიციალურად აფორმებს მას.²⁷

²⁵ ცერცვაძე გ. და სხვები., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013, 200.

²⁶ იქვე, 201.

²⁷ იქვე, 229.

4. სასამართლო მედიაცია

4.1. სასამართლო მედიაციის არსი და მნიშვნელობა

„სასამართლო მედიაცია“ პირობითად უნდა ვუწოდოთ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფორმას, რომლის გამოყენებაც სასამართლოს ნებართვითა და მისი აქტიური მონაწილეობით ხდება.” მისი, როგორც ცალკე დარგის ჩამოყალიბება უკავშირდება ამერიკაში, 1970-იან წლებში ფედერალური სასამართლოების მიერ მხარდაჭერილ მედიაციას და მასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელებას.²⁸

„სრულყოფილ მსოფლიოში მხოლოდ ნებაყოფლობითი მედიაცია იარსებებდა, მაგრამ მე არ ვფიქრობ, დღევანდელი საზოგადოება და ჩვენი სამართლებრივი კულტურა ამ დონემდეა მისული“- აღნიშნავს პროფესორი რელიზი თავის წიგნში. ის სწორედ იმ იურისტების კრიტიკოსების რიგებიდანაა, რომლებიც ამბობენ, რომ მედიაცია მხოლოდ მხარეთა ნებაზე დამოკიდებული პროცესი უნდა იყოს. რელიზის და მისი თანამოაზრეების შეხედულებებით, მედიაციას, მთელი თავისი არსით, მოაქვს ბევრი სიკეთე იურისპრუდენციაში, რაც გამოიხატება ამ პროცესის შედეგად დავების მშვიდობიანი მოგვარებით კმაყოფილ მომხმარებელთა სიმრავლეში, სასამართლოში განსახილველი საქმეების ნაკადის მნიშვნელოვნად შემცირებაში და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების შედეგად ერთგვარი კულტურის ჩამოყალიბებაში, რომ არ არის აუცილებელი ვინმემ აუცილებლად მოიგოს, ან წააგოს.

შესაბამისად, სწორედ მედიაციის ამ კრიტერიუმებში გამოვლენილი ეფექტიანობიდან გამომდინარე კანონმდებლებმა მიიჩნიეს, რომ აუცილებელი იყო ამ ინსტიტუტის უფრო მკვეთრად გამოხატული მხარდაჭერა. ამიტომაც, მათ მოიფიქრეს მედიაციის ახალი ფორმა, რომლის წამოწყებას დამოკიდებული იქნებოდა არა მხოლოდ მხარეთა ნება-სურვილზე, არამედ მოსამართლის გადაწყვეტილებაზე.²⁹

სასამართლო მედიაცია, როგორც უკვე სავალდებულო მედიაცია, კლასიკური მედიაციის ერთგვარი სახეცვლილებაა, როგორც უკვე აღვნიშნეთ და თუ კლასიკური მედიაციის მთავარი საყრდენი და

²⁸ ცერცვაძე გ., მედიაცია-დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისი, მერიდიანი, 2010,161.

²⁹ წულაძე ა. სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016 .

ძირითადი არსი მხარეთა ნებაყოფლობითობის პრინციპია, ამ შემთხვევაში ამ ნებას თვითონ სასამართლო განსაზღვრავს. სასამართლოს მონაწილეობა გამოიხატება იმაში, რომ სწორედ ის იღებს გადაწყვეტილებას კანონით მკაცრად განსაზღვრული საქმეები გადასცეს მედიატორს განსახილველად და ამ დროს არ ითვალისწინებს მხარეებს გააჩნიათ ამის სურვილი თუ არა. ამ დროს მხარეები ფაქტიურად იძულებულნი არიან, რომ სასამართლო დაბაზიდან გადაინაცვლონ მოლაპარაკების ოთახში. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სასამართლოს მედიაციის დროს შეუძლია მხარეები მათი ნების საწინააღმდეგოს დაითანხმოს რაიმე პირობაზე, რამეთუ მათ შეუძლიათ კანონით გათვალისწინებული ვადის შემდეგ უარი თქვან მედიაციის დავის მოგვარებაზე და საქმე ისევ დააბრუნონ სასამართლოში განსახილველად. სწორედ ამის გამო, ითვლება, რომ მედიაცია, იქნება ეს სასამართლო თუ სხვა სახის, მაინც ინარჩუნებს თავის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს - ნებაყოფლობითობას და ამ შემთხვევაში საჯარო ხელისუფლება სასამართლოს სახით მხოლოდ მხარს უჭერს მედიაციის პროცესს.³⁰

სხვადასხვა სახელმწიფოებში, სადაც უკვე დიდი ხანია არსებობს სასამართლო მედიაცია, თვლიან, რომ მედიაციის პროცედურის ორგანიზების სავალდებულოება ერთგვარი პარადოქსია, გამომდინარე იქედან, რომ ნებაყოფლობითობა ამ ინსტიტუტში უმთავრესი პრინციპია. თუმცაღა, აღნიშნავენ იმასაც, რომ სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკაში სხვადასხვანაირი შედეგები მოაქვს სასამართლოს მიერ მხარის „იძულებას“ ჩაერთონ სასამართლო მედიაციაში. მაგალითად, ინგლისში თუ მას არ მოჰყოლია საუკეთესო შედეგი, აშშ-ში სავალდებულო მედიაცია ერთერთი საუკეთესო შედეგის მქონე ინსტიტუტია მხარეთა შორის დავის მოგვარებისთვის.³¹ მიუხედავად ამისა, ზოგი იურისტი თვლის, რომ სასამართლო მედიაციას, რომელიც წესით უნდა წარიმართოს კლასიკური მედიაციისთვის დამახასიათებელ არაფორმალურ ვითარებაში, მაინც გასდევს საპროცესო ფორმალიზმის გავლენა და ამ დროს მხარეები ხშირ შემთხვევაში ვერც ითავისებენ და დამაბული ელოდებიან როგორ დამთავრდება მედიატორისა და სასამართლოს მცდელობა მოგვარდეს დავა. მხარეთა დამაბულობას იწვევს ზოგ ქვეყანაში სასამართლოს მიერ გამოვლენილი სიმკაცრე დავაში სასამართლო მედიაციის ჩართვასთან დაკავშირებით. მაგალითად საფრანგეთი, სადაც ყველაზე სკეპტიკურად განწყობილი მხარეებიც კი ვერ ბედავენ შეეწინააღმდეგონ მოსამართლეს და უარი

³⁰ ცერცვაძე გ. და სხვები., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013, 62.

³¹ ცერცვაძე გ., მედიაცია-დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისი, მერიდიანი, 2010, 165.

თქვან დავის მედიატორთან განხილვაზე. კრიტიკოსთა აღშფოთებას სწორედ მხარეების იძულება იწვევს და არ არის ლოგიკურ აზრს მოკლებული არსებობდეს ექვები, რამდენად შეიძლება მხარეების გარკვეულ პროცედურაში იძულებით ჩართვას - მედიაცია ეწოდოს.³² კრიტიკოსების ასევე საკმაოდ გავრცელებული მოსაზრებით სასამართლოს მხრიდან მხარეთა იძულება, სცადონ მოლაპარაკება, არის მხოლოდ ხარჯების ზრდა და რიგ შემთხვევებში შეთანხმების მაგივრად ორმაგად იწელება საბოლოოდ გადაწყვეტილების მიღების დრო, რადგან იმ ფონზე, რომ ცალკეულ შემთხვევებში ამ სახის იძულებამ მხარეები შესაძლოა შეთანხმებამდე მიიყვანოს, არ ცვლის იმ ფაქტს, რომ მხარეთა ნება გარკვეულწილად მაინც იზღუდება და ამ აზრს აქვს არსებობის უფლება გამომდინარე იქედან, რომ მედიაცია ზოგადად არის ნებაყოფლობითობაზე აგებული პროცესი და მხარეებს სურვილის შემთხვევაში შუძლიათ სასამართლოს გარეშეც მიმართონ კერძო მედიატორს.

ამასთან, მხარეთა სურვილის შემთხვევაში სასამართლო არ უარყოფს მორიგებას და შეუძლია მხარეთა შეთანხმება დაამტკიცოს კიდევაც. მედიაციისას ყველა შესაძლო შეხვედრა იგეგმება მხარეთა მიერ შეთანხმების მისაღწევად და ბოლოს, ყველა მტკიცებულებისა თუ მოსაზრების და ინტერესის გათვალისწინებით ხდება მორიგება. ამისგან განსხვავებით სასამართლოში თავიდანვე ირკვევა, სურთ თუ არა მხარეებს მორიგება (სარჩელსა და შესაგებელშიც ეთითება ამის შესახებ).

სასამართლო მედიაციისა და ზოგადად მედიაციის, როგორც ინსტიტუტისადმი ცოტა არ იყოს სკეპტიკური დამოკიდებულებაც შესაძლოა სწორედ ამ ფაქტორით აიხსნას. რა საჭიროა მედიაცია, როცა არსებობს უკვე მრავალნაგადი და საზოგადოების მხრიდან ასე თუ ისე ნდობამოპოვებული სასამართლო, სადაც იგივენაირად შეიძლება მორიგებას მიაღწიონ მხარეებმა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სასამართლოში დავისას დიდ როლს თამაშობს ქართული მენტალიტეტი, რომლის მიხედვითაც პროცესზე უფლებების დაცვა და გამარჯვება არა მარტო მოთხოვნის მიღების, არამედ ღირსების საკითხიცაა.³³

საწინააღმდეგო აზრის მიხედვით, რომელსაც ასევე აქვს არსებობის უფლება, მხარეთა წინააღმდეგობის მიუხედავად, სასამართლო მედიაციით დავები უფრო ხშირად წარმატებით სრულდება, რადგან ხშირ შემთხვევაში მხარეებს არ აქვთ ინფორმაცია სასამართლო მედიაციის, როგორც ინსტიტუტის შესახებ, მითუმეტეს თუ ისინი პირველად დგებიან ამ საჭიროების წინაშე.

³² ცერცვაძე გ., მედიაცია-დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისი, მერიდიანი, 2010, 166.

³³ ცერცვაძე გ., მედიაცია-დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისი, მერიდიანი, 2010, 168.

სწორედ ამიტომ, უკვე პროცედურისას მედიატორის მიერ განმარტებული სასამართლო მედიაციის და ზოგადად მედიაციის არსი მათ აძლევს შესაძლებლობას გაერკვნენ რა რეალობის წინაშე დგანან და როგორც წესი თუ მათთვის „გამარჯვება“ სასამართლო პროცესზე არ წარმოადგენს აუცილებელ პრინციპს და შინაგანად, სადღაც მაინც უშვებენ მორიგების შესაძლებლობას, შესაძლებელი ხდება დავის მოლაპარაკებით დასრულება.³⁴

5. სავალდებულო მედიაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები

5.1 ზოგადი მიმოხილვა

მედიაციის გზით ვერ მოგვარდება ყველა სახის დავა. მას ყოველთვის სჭირდება განათლების გარკვეული დონე და შესაბამისი კულტურა. როგორც გერმანიაში ამბობენ, ყველა კონფლიქტი მედიაციით გადაწყვეტას არ ექვემდებარება და არც გერმანელი ხალხია მზად დავის გადაწყვეტის რაციონალური გზები ეძებოს.³⁵ როგორც ზემოთ აღინიშნა სავალდებულო მედიაციას ჰყავს როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეები საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. შესაბამისად, მას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. თუ შედეგის თვალსაზრისით შევხედავთ აღნიშნულ საკითხს, ნათელია, რომ სავალდებულო მედიაციის დაწესება მხარეთა ინტერესებისთვის ძალიან სასარგებლოა. ამიტომაც კანონმდებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ სახელმწიფომ დაარეგულიროს მხარეთა მიერ სავალდებულო მონაწილეობა ამ პროცესში და არა მხარეების დავალდებულება, რომ მორიგდნენ. ხშირ შემთხვევაში, სწორედ მხარეები არიან კმაყოფილები სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, რომ დავა გადაეცეს მედიაციას, რადგან მათ შესაძლოა ქონდეთ მედიაციისთვის მიმართვის და საქმის შეთანხმებით დასრულების სურვილი, მაგრამ თვლიან, რომ ამის გაჟღერება მოწინააღმდეგე მხარის მიერ ეთვლება სისუსტედ. ამასთან, დავის მოსაგვარებლად

³⁴ ცერცვაძე გ., მედიაცია-დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისი, მერიდიანი, 2010, 169.

³⁵ იქვე, 170.

პირდაპირ სასამართლოსთვის მიმართვა ადვოკატების ერთგავრი სენია.³⁶ მათ შეიძლება მატერიალური ინტერესი ჰქონდეთ კონკრეტული საქმის მიმართ და სხვადასხვა საპროცესო მაქინაციებით ეცადონ მაქსიმალურად გაწელონ საქმის განხილვის ვადა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მხარეებს არ უნდათ მორიგებით საქმის დასრულება, მითუმეტეს მაშინ, როცა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციით სასამართლოში მიმართვამდე მიზანშეწონილია მხარეებმა თავიანთი შესაძლებლობებით ცადონ დავის მოგვარება. მართალია, ხშირია შემთხვევები, როცა მხარეების მცდელობის მიუხედავად საქმე მაინც სასამართლომდე მიდის, მაგრამ ასევე ხშირია შემთხვევები, როცა ისინი დასაწყისშივე მიმართავენ ხოლმე სასამართლოს, თუ ამას კანონი პირდაპირ არ უკრძალავს.

სასამართლო მედიაციის მოწინააღმდეგეების ერთ-ერთი არგუმენტი არის მოქალაქეების მიერ სამართლიანობის შეგრძნება. მათთვის წესით არ აქვს მნიშვნელობა რამდენად ეფექტურია ესა თუ ის ალტერნატიული საშუალება მოლაპარაკების მისაღწევად. არც რაიმე კომპრომისზე აქვთ მოთხოვნები და არც პროცესის სიიარაფე ხიბლავთ, რადაგან მათთვის უპირატესი სამართლიანობაა. ყურადღება უნდა მიექცეს ფაქტს, რომ მედიაცია ყოველთვის ყველასთვის მისაღები ვერ იქნება, განსაკუთრებით მათთვის, ვისი ინტერესიც შესაძლებელია დაკმაყოფილდეს მხოლოდ სასამართლო გზით, ან ისეთი მხარეებისთვის, რომლებიც არ არიან თანასწორნი. სამართლიანობის აღქმა სხვადასხვანაირი არსებობს. ვიღაცისთვის სამართლიანობა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებაა, ვიღაცისთვის კიდევ მხარის შესაძლებლობა კონფლიქტები მოაგვარონ მშვიდობიანად. ანუ სამართალთან წვდომა ნიშნავს არსებობდეს გარანტიები, რომელთა საშუალებითაც მხარეები მიიღებენ სასურველ შედეგს და ეს არ ნიშნავს, რომ სასამართლოს გარდა არ არსებობს ადგილი, სადაც შეიძლება მოდავე პირებმა მიაღწიოს სამართლიანობას.³⁷

სასამართლო მედიაციის და ზოგადად მედიაციის ერთ-ერთ დადებით თვისებად შესაძლოა ჩაითვალოს სასამართლოში განსახილველი საქმეების შემცირება და ამ სიმცირის ხარჯზე სასამართლოს განსახილველ საქმეებზე ხარისხის ზრდა. გამომდინარე იქედან, რომ ყოველ სასამართლო საქმეზე იხარჯება უამრავი ადამიანური და მატერიალური რესურსი, რომ

³⁶ წულაძე ა. სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016, 22.

³⁷ გურიელი ა. მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოებასთან მიმართებაში, კავკასიის საერთაშრისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018, 45.

ალტერნატიული განხილვის საშუალებების დანერგვა და მითუფრო სასამართლოს მიერ „იძულებით“ პროცესის ორგანიზება საჭიროც კი იყოს ვითარების განსატვირთად, რადგან ცხადია, ნებაცოფლობით მედიაციაზე მეტად სავალდებულოთი იქნება უზრუნველყოფილი სასურველი შედეგი ამ კუთხით.³⁸

სასამართლო მედიაციის უპირატესობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ დავის თავიდანვე მედიატორისთვის გადაცემა ქმნის ნაკლები ხარჯების გაღების შესაძლებლობას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად სახელმწიფო ბაჟის ოდენობა 1873-ე მუხლიდან გამომდინარე სარჩელებზე შეადგენს დავის საგნის ღირებულების 1% -ს, მაგრამ არანაკლებ 50 ლარისა. ხოლო თუ სასამართლო მედიაციის პროცესში დავა მხარეთა შეთანხმებით არ დასრულდა, მოსარჩელე სარჩელის წარდგენისას ვალდებულია დამატებით წარადგინოს დავის საგნის ღირებულების 2%-ის, მაგრამ არანაკლებ 50 ლარის, გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი.

ამ პროცესის დროს არც მხარეთა შრის ურთიერთობა შედის დამაბულ ფაზაში. მედიატორის დახმარებით მხარეები უკეთესად გამოხატავენ შესაბამის დროს თავიანთ მოსაზრებებს დავასთან დაკავშირებით და მნიშვნელოვანი აქ სწორედ მედიატორის მიერ აღმოჩენილი დახმარებაა, რომელიც მას შეუძლია პროცესის დასაწყისშივე. ასევე სასამართლო მედიაციის ღირსებაა, მხარეების მიერ პროცესისას შეძენილი უნარ-ჩვევები ერთმანეთის მოსმენის, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების კუთხით. ეს ერთგვარი კულტურაა, რაც ანვითარებს მოქალაქეების შეგნებას სამართლებრივი საკითხების მიმართ და უნდა ითქვას, რომ ამ სიკეთეების ფონზე, სასამართლო მედიაციის დროს ერთგვარი „იძულების“ ფაქტი მხარეების მიმართ პროცესში ჩაბმისა, არ უნდა იყოს ასეთი მტკივნეული ამ ინსტიტუტის მოწინააღმდეგეებისთვის.³⁹ რეალურად ჩვენ არ განვიხილავთ საკითხს რომელი ჯობია, სასამართლო მედიაცია, თუ სასამართლო, ან კლასიკური მედიაცია. განსახილველია ის, რომ ეს სასამართლოსა და მედიაციის სინთეზი - სასამართლო მედიაცია, კარგად რეგულირებული პროცედურის შემთხვევაში მხარეს აძლევს უამრავ შესაძლებლობას სხვადასხვა ტიპის დავებში თავისი ინტერესის დასაცავად.

³⁸ წულაძე ა. სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016, 23.

³⁹ იქვე 24.

სავალდებლო მედიაციის დამცველები ხშირად იყენებენ თავიანთი აზრის დასაცავად ადამიანთა ევროპული სასამართლოს განმარტებას საქმეზე „ემნიგენი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ“, რომლის მიხედვითაც სასამართლოსთვის მიმართვის უფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ ის ემხასურება კანონიერ მიზანს და დაცულია პროპორციულობა ზომასა და მიზანს შორის.⁴⁰

მედიაციის დადებითი მხარეებიდან ძალიან მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ მის ერთ-ერთ თვისებაზე, რომელიც ასე ერთი შეხედვით არ ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა სასამართლო მედიაცია მორიგებით ვერ დასრულდეს, იმ რამდენიმე შეხვედრის პერიოდში ჩამოყალიბებული მიდგომები მხარეებს მაინც აახლოებს ერთმანეთთან, რაც საბოლოო ჯამში, სასამართლოში დავის გაგრძელების შემთხვევაში აუცილებლად დადებითად აისახება მოდავეების განწყობასა და დამოკიდებულებაზე. აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ სასამართლო მედიაციას შეუძლია დაუახლოვდეს კლასიკური მედიაციის არსს იმ შემთხვევაშიც, როცა მოლაპარაკების მცდელობა ერთი შეხედვით წარუმატებელი ჩანს.⁴¹

სავალდებულო მედიაციის ავ-კარგიანობაზე კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ მოსარჩელები უფრო უკმაყოფილოები იყვნენ, ვიდრე მპასუხეები, რადგან მედიაციის პროცესზე დახარჯული დრო მათ აძლევდა შესაძლებლობას უკეთ ჩამოეყალიბებინათ საკუთარი პოზიცია დავასთან მიმართებით.

⁴²

ამასობაში ჩამოყალიბდა ორი პირობა იმისათვის, რომ სასამართლო მედიაციამ მოიტანოს თავისი შესაძლო შედეგი. პირველ რიგში სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობა უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას როგორც მატერიალური, ისე საპროცესო საკითხების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ბაზა იყოს სრულყოფილი და მეორე-სახელმწიფო მუდმივად უნდა ცდილობდეს წახალისოს ის, როგორც ინსტიტუტი და გამოყოს სპეციალური თანხები სასამართლო მედიაციის პროპაგანდასთან დაკავშირებული პროექტების უზრუნველსაყოფად.⁴³

⁴⁰ გურიელი ა. მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოებასთან მიმართებაში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018, 47.

⁴¹ წულაძე ა. სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016, 25.

⁴² იქვე 26.

⁴³ გურიელი ა. მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოებასთან მიმართებაში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018, 49.

6. სასამართლო მედიაცია საქართველოში

6.1. დავის მორიგებით გადაწყვეტის ისტორიული მიმოხილვა ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული მენტალიტეტისთვის არ არის ახალი დავის სხვა, დამოუკიდებელი პირის მიერ მოგვარება. როგორც ღრმა წარსულში, ასევე ათეული წლების წინ საქართველოში არსებობდა ზოგადად მედიაციის მსგავსი პროცედურა, სადაც კონფლიქტისას მხარეები მოუხმობდნენ ხოლმე მათთვის და ზოგადად ყველასთვის ავტორიტეტ პირს და ის წყვეტდა დავას მხარეთა შორის. მართალია ეს გადაწყვეტილება ხშირ შემთხვევაში არ იყო ორივე მხარის ინტერესების სრულად გათვალისწინებით მიღებული და საერთოდ, უმეტესად ვინმეს „გამტყუნებით“ ან გამართლებით“ სრულდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ურთიერთობას არაფერი ქონდა საერთო მხრეების ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებაზე ორიენტირებულ მედიაციასთან, მაგრამ იმ დროისთვის რეალობა იყო მხარეების მიერ პროტესტის გამოხატვის გარეშე მიღებული დამდგარი შედეგი, რაც გამოწვეული იყო საქმეში ჩართული ავტორიტეტის მიმართ საოცარი ნდობით.

რჯულის კაცი, მსაჯული, მდივანბეგი, ბჭე-მედიატორი, მორევი და ხევსბერი ის თანამდებობებია ძველი ქართული ჩვეულებითი სამართლიდან, რომლებიც სამოსამართლო სამსახურში მყოფ პირებს აღნიშნავდნენ. მათ ფუნქციებში სხვა საკითხებთან ერთად შედიოდა დავის მშვიდობიანი გადაწყვეტაც. ეს ფაქტი კი დასტურია იმისა, რომ ადრე არ არსებობდა განცალკავებით მედიატორისა და მოსამართლის სტატუსები, როგორც ახლა. ამასთან, როგორც ცნობილია ეს პირები თვითონ თავიანთი ნების შესაბამისად არ იღებდნენ გადაწყვეტილებებს და ძირითადად ეყრდნობოდნენ ძველ ანდერძებს, ანუ პრეცედენტულ სამართალს. თუმცა, არსებობს მსგავსებაც თანამედროვე მედიატორებსა და ბჭე-მედიატორებს შორის და გამოიხატება იმაში, რომ არჩეული პიროვნება, ისე როგორც ახლა, უნდა ყოფილიყო ორივე მხარისთვის მისაღები. ასევე, იდენტურია შეხვედრების

სტილი, როგორც ინდივიდუალური, ისე საერთო და მათი რაოდენობა, მორიგების პროცესში გამხელილი ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვა და ა.შ.⁴⁴

აღსანიშნავია, რომ გარდა ზემოთხსენებული პირებისა, რომლებიც ხალხის მიერ აირჩეოდნენ და განიხილავდნენ დავებს, ქართული სამართლის წყაროებში გვაქვს უკვე კანონმდებლის მიერ მოხსენიებული პირებიც. მაგალითად „ბექა აღბუღას სამართლის წიგნი“, რომელშიც საუბარია „შუათაბრჭობა“-ზე, რაც მკვლევარების აზრით შუამავლების მეშვეობით მოლაპარაკებას გულისხმობს. ამავე წყაროშია მოხსენიებული: „შუადასხმულნი“, „შუაეთაშესვლით“, „შუათადახედვით“, რომლებიც სავარაუდოდ არა სამეფო ხელისუფლების გამომხატველ, არამედ იმ სასამართლო ფუნქციის მატარებელი პირების აღმნიშვნელად გამოიყენებოდა, რომლებსაც მხარეები ირჩევდნენ კონკრეტული საქმეების განსახილველად“.⁴⁵

ასევე შეგვიძლია გავიხსენოთ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, რომლის ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიაში წერია: „უკეთუ ორსა კაცსა საჩივარი ჰქონდეს მოსამართლესთანა და არც ხელმწიფისა, არც პატრიარქისა, არც მიტროპოლიტისა, არც მოსამართლის საჩივარი და სამართალი არ მოინდომონ, და იმ ორთა ერთი კაცი გამოირჩიონ და იმასთან მივიდნენ, მოახსენონ, რომე ერთი საჩივარი გვაქვსო და რომელსაც თქუნ სამართალს გუიზამ, იმას ვჯერვართო, იმ მოსამართლეს ეწოდება ბჭე“.(მუხლი 136) მეტიც, მე-19 საუკუნის სამართლის ძეგლში „საქართველოს ჩვეულებითი სჯული“ უკვე საუბარია ბჭე მედიატორების ინსტიტუტზე. კვლევებით ჩანს, რომ ამ ძეგლის მიხედვით მედიატორს მხარეები ირჩევდნენ, ხოლო მოსამართლეებს ხელმწიფე ნიშნავდა ბრძანებით.⁴⁶

1864 წელს რუსეთის იმპერიაში გატარებული სასამართლო რეფორმის შედეგად საქართველოში ამოქმედდა მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტიც, რომელიც მხოლოდ სამოქალაქო სამართლის საქმეებზე ვრცელდებოდა და ძირითადად პირადი შეურაცხყოფის, წყენის, საკუთრების უფლების და მსგავს დავებს განიხილავდა. ერთი შეხედვით ეს დავის მოგვარების სხვადასხვა ფორმა, მომრიგებელი მოსამართლეობა და მედიაცია განსხვავდება ეთმანეთისგან, მაგრამ ამ ორი

⁴⁴ წულაძე ა. სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016, 122.

⁴⁵ გურიელი ა. მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოებასთან მიმართებაში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018, 131.

⁴⁶ იქვე 132.

ინსტიტუტის მიზნების, უპირატესობების, ამოცანებისა და თვითონ პროცესის მსვლელობაზე დაკვირვებით შეიძლება ითქვას, რომ მომრიგებელი მოსამართლეობა მედიაციის ერთ-ერთი ფორმა იყო. მიუხედავად იმისა, რომ მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი საქართველოში რუსეთის იმპერიის გავლენით იყო გავრცელებული და ამ იმპერიის საპროცესო კანონმდებლობის ნაწილი იყო, ძალიან საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საქართველოში ერთ-ერთი მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობაზე ილია ჭავჭავაძე იყო წარდგენილი.⁴⁷

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოში მედიაცია ნოვაციად ცალსახად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან ჯერ კიდევ მე-6 საუკუნიდან გვაქვს დღევანდელი მედიაციის მსგავსი ინსტიტუტები და როგორც ვხედავთ ის არა მხოლოდ მოკამათე მხარეების, არამედ სახელმწიფოს მიერ იყო ათვისებული და ნებადართული. შესაბამისად, მედიაციის და მისი სახეცვლილების-სასამართლო მედიაციის დღევანდელი მდგომარეობა თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ მაშინდელი ინსტიტუტის განვითარებად.

6.2. სავალდებულო სასამართლო მედიაცია სამოქალაქო საპროცესო კოდექსში

2011 წლის 20 დეკემბრის N5550 საქართველოს კანონით საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილება და დამატა XXI¹ თავი, სახელწოდებით სასამართლო მედიაცია და ის ხელმისაწვდომი გახდა ქართული საზოგადოებისთვის.⁴⁸ აღნიშნული ცვლილება ამოქმედდა 2012 წლის 01 იანვარს. ინიცირებული ნორმის განმარტებითი ბარათის მიხედვით, „კანონპროექტის მიღების მიზეზია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების-მედიაციის ინსტიტუტის დამკვიდრება, რაც ხელს შეუწყობს მხრეთა შორის დავის აღმოფხვრას მათი შეთანხმების შესაბამისად და საზოგადოების თვითშეგნების ამაღლებას, რათა დავა მოაგვარონ ურთიერთშთანხმებით, არასასამართლო გზით“.

⁴⁷ აბრამიშვილი ა., მედიაციის სისტემების შედარებითი ანალიზი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის მაგალითზე, საქართველოში მედიაციის განვითარების პერსპექტივა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2017, 70.

⁴⁸ ყანდაშვილი ი. საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი 2018, 227.

სასამართლო მედიაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხლების მიხედვით განხილვისას ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგს: სასამართლო მედიაციის შესახებ მთლიანი თავი არ მოიცავს მედიაციის, მედიატორის როლის, მისი სტილის, ან მესამე ნეიტრალური პირის შესახებ რაიმე განმარტებას.⁴⁹

6.3. დავის სავალდებულო წესით მედიატორისთვის გადაცემის საკითხი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით სამოქალაქო საქმეებზე სარჩელისა და შესაგებლის ფორმებს დაემატა შეკითხვა საქმის სასამართლო მედიაციისთვის გადაცემის შესახებ, ხოლო 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცდა „სასამართლო მედიაციის ადმინისტრირების წესი“, რომლითაც დეტალურად განისაზღვრა პროცედურები, ადმინისტრირებისა და ორგანიზების საკითხები, კონსულტანტის ფუნქციები და პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული საკითხები.⁵⁰ თავდაპირველი რედაქციით, 187¹ მუხლი გამოიყურებოდა შემდეგნაირად: „სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული საქმე შეიძლება გადაეცეს მედიატორს (ფიზიკურ ან იურიდიულ პირს) დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების მიზნით“.⁵¹

დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრის მოსაზრებით, ნორმის ფორმულირებაში იურიდიული პირის მითითება არასწორი იყო და არ შეესაბამებოდა მედიატორისთვის დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს. მარტივად რომ ითქვას მედიატორი ვერ იქნება იურიდიული პირი. დავა უნდა განიხილოს ერთმა კონკრეტულმა პირმა, რასაც ვერ გააკეთებს იურიდიული პირი. ამასთან, Uniform mediation act-ის ტერმინთა განმარტების მიხედვით, მედიატორი არის ფიზიკური პირი, რომელიც წარმართავს პროცესს. სასამართლო მედიაციისას მედიატორებად გვხვდებიან სახელმწიფოს მიერ დატრენინგებული, შესაბამისი ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილი მედიატორები მათი საერთო ბაზიდან და შესაბამისად

⁴⁹ წულაძე ა. სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016, 130.

⁵⁰ ნინო გვენეტაძის, ევა გოცირიძის, ვახტანგ თორდიას, ლევან მურუსიძისა და კახა სოფრომაძის კოლეგიის მიერ შედგენილი კრებული „მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე“.

⁵¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბ., 1997, მ. 187.

მათ ხელფასსაც სახელმწიფო უხდის. ამიტომ სახელმწიფოს ინტერესია პირველ რიგში, რომ მისი ბიუჯეტიდან გასული თანხები იყოს შესაბამისი კონკრეტული ინსტიტუტის მნიშვნელობის მიმართ. მნიშვნელოვანია საკითხი, თუ როგორ შიძლება მოეთხოვოს მედიატორს, როგორც იურიდიულ პირს, შესაბამისი განათლების მიღება ან თუნდაც სავალდებულო რაიმე ტრენინგზე დასწრება. აქვე უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ ამერიკის უმრავლეს შტატში, ისევე როგორც დღეს უკვე საქართველოშიც, კანონით არის დადგენილი მედიატორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ერთადერთი განმარტება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ამ მუხლში არსებული ჩანაწერისა შეიძლება იყოს მითითება იურიდიულ პირზე, რომელიც სთავაზობს პირებს მედიაციის სერვისს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც კონკრეტული დავის განსახილველად პროცესზე ცხადდება კონკრეტული პირი და ის ასრულებს მედიატორის ფუნქციას.⁵²

როგორც ვხედავთ იურიდიული პირისთვის, როგორც მედიატორისთვის, დავის განსახილველად გადაცემის შესახებ არსებული ჩანაწერი იყო გაურკვეველი, ორაზროვანი და არ შეესაბამებოდა მედიაციის მსოფლიო განვითარების სტანდარტებს. შესაბამისად, 2019 წლის 18 სექტემბერს საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება და დღის მდგომარეობით განხილული მუხლით დადგენილია სასამართლოში მიმართვის შემდეგ დავის მედიატორისთვის გადაცემის უფლება. მუხლის ახალ დეფინიციაში არ კონკრეტდება მედიატორი ფიზიკური პირია თუ იურიდიული, თუმცა ამჯერად საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნითა და გათვალისწინებით მედიატორში აუცილებლად იგულისხმება პროფესიით მედიატორი ფიზიკური პირი.

6.4. სასამართლო მედიაციის განსახილველი დავები

დღეს მოქმედი საპროცესო კოდექსის მიხედვით სასამართლო მედიაციის წამოწყება შესაძლებელია ნებისმიერ დავაზე, რომელზეც მხარეები შეთანხმდებიან ამ გზით განხილვაზე, მაგრამ მოსამართლის განჩინებით, რომელიც არ საჩივრდება, დაბა სასამართლო მედიაციას გადაეცემა შემდეგ შემთხვევებში:

⁵² ცერცვაძე გ. და სხვები., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013, 14.

ა) საოჯახო სამართლებრივ დავებზე, გარდა შვილად აყვანასთან, შვილად აყვანის ბათილად ცნობასთან, შვილად აყვანის გაუქმებასთან, მშობლის უფლების შეზღუდვასთან, მშობლის უფლების ჩამორთმევასთან, აგრეთვე ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული დავებისა;

ბ) სამემკვიდრეო სამართლებრივ დავებზე;

გ) სამეზობლო სამართლებრივ დავებზე;

გ¹) შრომით სამართლებრივ დავებზე, გარდა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“ გათვალისწინებული კოლექტიური დავისა;

გ²) საზიარო უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებულ დავებზე;

გ³) ქონებრივ დავებზე, თუ დავის საგნის ღირებულება 20000 ლარს არ აღემატება;

გ⁴) საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან (მათ შორის, ელექტრონული ფორმით დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან) გამომდინარე დავებზე, თუ დავის საგნის ღირებულება 10000 ლარს არ აღემატება;

გ⁵) არაქონებრივ დავებზე;

დ) ნებისმიერ სხვა დავაზე – მხარეთა თანხმობის შემთხვევაში.

თავიდან, კოდექსში სასამართლო მედიაციის ახალი თავის დამატების პერიოდისთვის ჩამონათვალში მითითებული იყო მხოლოდ საოჯახო (იგივე გამოწვევისით), სამემკვიდრეო და სამეზობლო დავები. თუ დავაკვირდებით, თავდაპირველი ჩამონათვალი ერთი საერთო პრინციპით იყო შერჩეული. ყველა სამართალურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მხარეთა პირადი ურთიერთობები დავის დასრულების შემდეგ. რაც შეეხება საოჯახო დავებს, მაქსიმალურად არის გათვალისწინებული ბავშვის ინტერესები. როგორც წესი, სახემლწიფო ცდილობს, რომ ამ ტიპის დავებს განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდოს. სწორედ ამიტომ არ მოხდა ამ ტიპის დავების განხილვის მხოლოდ მხარეების შეთანხმების იმედად დატოვება და ასეთ დავებს მხოლოდ სასამართლო იხილავს და რათქმაუნდა მისასალმებელია. ბავშვის ინტერესების უპირატესად ჩათვლაში გვეხმარება ევროპარლამენტის დირექტივა, რომელიც მედიაციის დროს გაგებული, წესით

საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების უფლებას იძლევა თუ ეს ბავშვის ინტერესებისთვის საჭიროა.

53

ასევე მისასაღმებელია, რომ სასამართლო მედიაციის განსახილველ დავებს დაემატა შრომით დავები. ამ სახის დავებში მნიშვნელოვანია მხარეთა პირადი ურთიერთობები დავის დასრულების შემდეგ და კარგია რომ სასამართლოს მიერ „იძულების“ პირობებში მედიაციის გზით მხარეებს მიეცემათ შესაძლებლობა ამ გზით დაიკმაყოფილონ როგორც სამართლებრივი ისე კომერციული და პირადი ინტერესები.⁵⁴

სსსკ-ის 187³ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით მხარეთა თანხმობის შემთხვევაში დავა მედიატორს შეიძლება გადაეცეს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, რაც გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მხარეებს სურვილის გაჩენის შემთხვევაში დაგვიანების გამო არ მიეცეთ შესაძლებლობა ისარგებლონ სასამართლო მედიაციით.⁵⁵ სწორედ ამაში გამოიხატება სასამართლო მედიაციის ნებაყოფლობითობის პრინციპი, რომ მათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ გამოთქვან სურვილი დავა გააგრძელონ მედიაციის კუთხით. თუმცა, სასამართლოს მიერ ინიცირებულ მედიაციის პროცესში ვალდებულნი არიან მიიღონ მონაწილეობა და მისი დარღვევა ფინანსურ სანქციონირებას იწვევს.⁵⁶

საბოლოოდ, დღევანდელი მდგომარეობით, სასამართლო მედიაციისთვის სავალდებულოდ გადასაცემი დავების ჩამონათვალი შეივსო ისეთი დავებით, რომლებზეც ვერ ვიტყვით, რომ მხარეთა შემდგომი პირადი ურთიერთობებია მნიშვნელოვანი. აქ უკვე სავარაუდოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასამართლოს განსახილველი საქმეების რაოდენობაში შემცირების მცდელობა. შეიძლება მხარეთა ნების შესაბამისად მიზანი დიდი პროცენტულობით ვერ იყოს მიღწეული, თუმცა მცდელობად ღირს და შედეგად შესაძლოა მდიდარი სასამართლო მედიაციის პრაქტიკა დამკვიდრდეს.

სსსკ-ის 187¹ მუხლით სასამართლოს მიერ მედიატორისთვის საქმის გადაცემის შესახებ განჩინება არ საჩივრდება. ამ დათქმის მიხედვით ჩანს, რომ ქართული კანონმდებლობა სავალდებულო

⁵³ ცერცვაძე გ. და სხვები., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013, 64.

⁵⁴ იქვე, 65.

⁵⁵ იქვე, 66.

⁵⁶ ყანდაშვილი ი. საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი 2018, 228.

მედიაციას აღიქვამს, როგორც სასამართლოში საქმის წარმოების პროცესის ნაწილს და ამ შემთხვევაში არ ირღვევა მოქალაქის კონსტიტუციით გარანტირებული უფლება მიმართოს სასამართლოს, რადგან ეს მხოლოდ სასამართლო პროცესების ადმინისტრირების დროს მიღებული გადაწყვეტილებაა.⁵⁷ „ასეთ დამოკიდებულებას იცნობს ბევრი ქვეყნის სამართალი, უბრალოდ ამ მოწესრიგებისთვის საჭიროა საერთო სასამართლოების მართლმსაჯულების პოლიტიკის შემმუშავებელი ორგანოს - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით მისი მოწესრიგება. „საერთო სასამართლოების შესახებ „საქართველოს ორგანული კანონის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოს იუსტიციის საბჭო შეიმუშავებს და ამტკიცებს საერთო სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობის წესს. ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-9 მუხლის „ზ“ და „უ“ ქვეპუნქტის მიხედვით, იუსტიციის უსტიციის უმაღლესი საბჭო ამტკიცებს საერთო სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობის წესს და იღებს გადაწყვეტილებებს საერთო სასამართლოების სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე“.⁵⁸

6.5. მედიატორის აცილების საკითხი

სსსკ-ის 187⁴ მუხლში მითითებულია, რომ შესაძლებელია მედიატორის აცილება და ამ შემთხვევაში გამოიყენება ანალოგიური მუხლები მოსამართლის აცილების საფუძვლებიდან. სწორედ აქ წარმიშობა პრობლემა მედიატორის ვინაობასთან დაკავშირებით, რადგან თუ მხარეს არ ეცოდინება, ვინ არის კონკრეტული მედიატორი საქმეზე, ვერც აცილების საფუძვლებს მიუთითებს. შესაბამისად ეს მუხლი პრობლემურია იმდენად, რამდენადაც არ არის დარეგულირებული რა ეტაპზე შეუძლია მხარეს გამოთქვას აცილება, ან სად, რა სახით უნდა განაცხადოს ამის შესახებ. არ არის განსაზღვრული არც თვითაცილების ინსტიტუტი, რაც მისცემდა მედიატორს საშუალებას საჭიროების შემთხვევაში აეცილებინა პროცესის წარმართვა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სხვა ამ კუთხით განვითარებულ ქვეყნებში მედიატორის თვითაცილების საკითხი რეგულირდება კანონით

⁵⁷ გურიელი ა. მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოებასთან მიმართებაში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018, 134.

⁵⁸ აბრამიშვილი ა., მედიაციის სისტემების შედარებითი ანალიზი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის მაგალითზე, საქართველოში მედიაციის განვითარების პერსპექტივა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2017, 74.

და ეთიკის ქარტიით, რომელიც საქართველოში არ მოქმედებს და არ იქნებოდა ურიგო, საპროცესო კოდექსით დარეგულირებულიყო აღნიშნული საკითხი.⁵⁹

6.5.1. სასამართლო მედიაციაში დავის განხილვის ვადა

საპროცესო კოდექსი არეგულირებს სასამართლო მედიაციის ვადას. 187⁵ მუხლის თანახმად ის განისაზღვრება 45 დღით, რომელიც მოიცავს მინიმუმ 2 შეხვედრას. აღნიშნული ვადა შიძლება გაიზარდოს კიდევ 45 დღით მხარეთა შეთანხმებით.⁶⁰

სასამართლოსთან შედარებით, მედიაციის უპირატესობა არის მცირე ვადაში დავის განხილვის და დასრულების შესაძლებლობა. განხილვის ვადის მაქსიმუმის დაფიქსირება კანონში დააზღვევს მხარეებს დროის უმიზეზოდ გაწელვისგან და ფაქტიურად გამორიცხავს ერთერთი მხარის მიერ უფლებების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას სარჩელის წარუდგენლობისა თუ სხვა საპროცესო მოქმედებებისას.

თუმცა, მედიაციის მთავარი მიზანი არის მხარეების მორიგება და აუცილებელია მათ ქონდეთ შესაძლებლობა მოაწყონ იმდენი შეხვედრა, რამდენსაც ჩათვლიან საჭიროდ და არ იყვნენ შეზღუდულები 45 დღით, თუ ჩათვლიან რომ 50-ე დღეს შეიძლება საქმე მორიგებით დაასრულონ. უცნობია, რა პრინციპით შეარჩია კანონმდებელმა 45 დღე, თუმცა გამართლებულია, რომ მხარეებს სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ ეს დრო გააორმაგონ.⁶¹

ამ საკითხთან დაკავშირებით მაინც რჩება კითხვის ნიშნები, სავსებით შესაძლებელია აღმოვჩნდეთ ფაქტის წინაშე, როცა მხარეების შეთანხმებით ვადა გაგრძელებულია 45 დღით მაგრამ დასასრულს შეთანხმება მიღწეული ჯერ კიდევ არ არის, თუმცა მხარეები თვლიან ისევე ერთმანეთთან შეთანხმებით, რომ რამდენიმე დღეში შეიძლება მოილაპარაკონ და დავა დასრულდეს მორიგებით.

⁵⁹ ცერცვაძე გ. და სხვები., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013, 65.

⁶⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თბ., 1997, მ. 187⁵

⁶¹ ცერცვაძე გ. და სხვები., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013, 66.

მიზანშეწონილი იქნება, თუ ეს საკითხი დამატებით დარეგულირდება კონკრეტული ხასიათის ნორმების საფუძველზე.

6.5.2. სასამართლო მედიაციაზე მხარეთა გამოუცხადებლობის შედეგები

სსსკ-ის 187⁶ მუხლი არეგულირებს მხარეების მიერ სასამართლო მედიაციაზე გამოუცხადებლობის შემთხვევას. როგორც ფორმულირებიდან ჩანს, მხარე ვალდებულია გამოცხადდეს მედიატორის მიერ დანიშნულ პროცესზე შესაბამის დროსა და ადგილას. გამოუცხადებლობისთვის, როცა ეს არასაპატიო მიზეზით ხდება კოდექსი ითვალისწინებს ჯარიმას 150 ლარის ოდენობით და დამატებით სასამართლო მედიაციისთვის გაღებული ხარჯების ანაზღაურებას მიუხედავად იმისა, თუ როგორ დასრულდება დავა. ფაქტიურად, აღნიშნული მუხლი ავალდებულებს მხარეს დაესწროს სასამართლო მედიაციის პროცესს მიუხედავად იმისა, მოსწონს და თანახმაა მხარე მოლაპარაკებაზე თუ არა. რა თქმა უნდა, წინასწარ ვერ განისაზღვრება რამდენად ექნება შედეგი პროცესის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი მხარის შესაძლოა ითქვას ჯარიმის არიდების მიზნით პროცესზე ყოფნას, თუმცა თუ მოლაპარაკება მისთვის ხელსაყრელი პირობებით იქნება უზრუნველყოფილი, გამორიცხული არაფერია.

ზემოხსენებულ მუხლში მკაფიოდ ჩანს კანონმდებლის მცდელობა ერთის მხრივ მკაცრად იყოს მოთხოვნილი მხარის გამოცხადება პროცესზე და მეორეს მხრივ აძლევს შესაძლებლობას მხარეს აირიდოს გამოუცხადებლობით მიღებული ჯარიმა თავიდან შემდეგნაირად. თუ მხარე არ გამოცხადდება პირველ პროცესზე არასაპატიო მიზეზით, მაგრამ მოვა მეორეზე და თან შეთანხმდება, მას აღარ მოუწევს ჯარიმის გადახდა.

ასევე, არსებობს მეორე შანსიც, რომელიც ეხება უკვე სასამართლოში დავის შეთანხმებით დასრულებას. ამ დროსაც როგორც პირველ შემთხვევაში მხარეს აღარ დაეკისრება სასამართლო მედიაციის პროცესზე გამოუცხადებლობის შედეგად მიღებული ჯარიმის გადახდა.⁶² ამ

⁶² ცერცვაძე გ. და სხვები., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013, 65.

რეგულირებით ძალიან კარგად ჩანს სასამართლოს პრიორიტეტი- მხარეთა შეთანხმება, თუმცა ის, რომ დაუსწრებელი პროცესის შედეგად მიღებულ ჯარიმას უბათილებს დავის შეთანხმებით დასრულება, არის ერთგვარი იძულება, რომ საბოლოოდ მხარე დათანხმდეს მორიგების წესებს. კარგი იქნება, თუ მხარეების მიერ სასამართლო მედიაციის პროცესზე დასწრება რეგულირებული იქნება უფრო ნეიტრალური მექანიზმით.

6.5.3. სასამართლო მედიაციის დასრულება

სსსკ-ის 187⁷ მუხლის მიხედვით თუ მხარეები მორიგდებიან სასამართლო მედიაციისას, მხარის შუადგომლობის საფუძველზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება მხარეთა მორიგების თაობაზე, რომელიც არ საჩივრდება. იმ შემთხვევაში თუ მხარე არ ასრულებს მორიგების პირობებს, სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება ექვემდებარება იძულებით აღსრულებას. დადებითად უნდა შეფასდეს, რომ მხარეთა მიერ შეთანხმების შემთხვევაში სასამართლო ამტკიცებს მხარეთა შეთანხმებას. ისევე, როგორც კლასიკურ მედიაციაში, აქაც, რომელიმე მხარის მიერ შეთანხმების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს ისევ მოუწევდა მიემართა სასამართლოსთვის. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ აქ უკვე ნაკისრი ვალდებულების შესრულების ბერკეტია სასამართლოს მიერ მხარეთა მორიგების დამტკიცება, რაც შეუსრულებლობის შემთხვევაში იწვევს იძულებით აღსრულებას. რაც შეეხება იმ შემთხვევას, როცა დავა არ სრულდება მორიგებით. ევროპარლამენტის დირექტივით მხარეს არ ერთმევა შესაძლებლობა გამოიყენოს მისი კონსტიტუციით გარანტირებული სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. შესაბამისად, მოსარჩელეს შეუძლია სარჩელით მიმართოს სასამართლოს შესაბამისი წესების დაცვით.⁶³

7. მედიატორი

7.1. მედიატორის კვალიფიკაცია და ვალდებულებები

⁶³ ცერცვაძე გ. და სხვები., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013, 67.

სიტყვა-მედიატორი ეტიმოლოგიურად ლათინური და ბერძნული ძირიდან მოდია და ნიშნავს და შუამავალს ნიშნავს. მედიატორი არის დამოუკიდებელი პირი, რომელიც წარმართავს მხარეთა შორის მოლაპარაკების პროცესს. ის არ არის რომელიმე მხარის წარმომადგენელი და არც რომელიმეს ურჩევს რამეს. შესაბამისად ის არის კონკრეტული საქმის მიმართ ინტერესის არ მქონე პირი.⁶⁴ მედიატორი ფასდება დავის არსის ცოდნით. მისი, როგორც პროფესიონალის შეფასება რთულია, რადგან ყოველ ჯერზე დავის განხილვისას თითოეული მხარე მას აფასებს სუბიექტურად. მნიშვნელოვანია, მედიატორი კარგად იყოს გათვითცნობიერებული დავის საკანონმდებლო მოწესრიგების შესაძლებლობებში და ადგილობრივ მიდგომებს იცნობდეს კარგად. ეს აუცილებლობა დგას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მხარეები ირჩევენ კერძო მედიატორს. ხოლო იმ შემთხვევისთვის, როცა საქმე ეხება სასამართლო მედიაციას, ეს პრობლემა ფაქტიურად მოგვარებულია, რადგან ამ დროს მედიატორები ირჩევიან სპეციალური ბაზიდან. მ

მედიატორის შერჩევისას მნიშვნელოვანია რამდენად აქვს მას განვითარებული პიროვნული უნარები, როგორცაა სიტუაციის ანალიზის, ადამიანების დარწმუნების, მათი მოსმენის, ინფორმაციის შეგროვების, მოთმენის, საუბრისას ტონის შერჩევის უნარები. ამ უნარების გამოყენებით ის შეძლებს ჩაწვდეს დავის არსს და ხელსაც შეუწყობს მხარეებს შრის ინფორმაციების მიმოცვლას. იმისათვის, რომ მედიაციის პროცესი ჩატარდეს წესების შესაბამისად და მედიატორმა სრულყოფილად შეძლოს თავისი საქმის გაკეთება, პრაქტიკიდან გამომდინარე შეგროვდა გარკვეული სავალდებულო წესების ჩამონათვალი, რომელიც აუცილებელია რომ დაიცვას მედიატორმა.⁶⁵ ესენია:

1) პროცესის მონაწილეების განსაზღვრა

მედიატორმა უნდა შეძლოს სწორად განსაზღვროს პროცესში მონაწილე პირთა წრე. გარდა მხარეებისა, თუ ამის საჭიროება დგას, შესაძლოა პროცესს ესწრებოდეს სხვა პირიც, რომელიც დავის მოლაპარაკებით დასრულებისკენ დიდ ნაბიჯს გადაადგმევენებს მოდავე მხარეს თავისი რჩევების, თუ ფსიქოლოგიური მხარდაჭერის წყალობით.

⁶⁴ ყანდაშვილი ი. საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასამართლო ფორმები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი 2018, 122.

⁶⁵ გურიელი ა. მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოებასთან მიმართებაში, კავკასიის საერთაშრისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018, 72.

2) მხარეებისათვის მედიაციის არსის ახსნა

მედიატორმა აუცილებლად უნდა აუხსნას მხარეებს რით განსხვავდება ეს პროცესი სასამართლო დარბაზში მიმდინარე პროცესებისგან. მხარემ უნდა გაიაზროს, რომ ამ პროცესის დროს მხარეები უნდა ეცადონ რომ მიაღწიონ ურთიერთშეთანხმებას. ამისათვის კი აუცილებელია ერთმანეთის მოსმენ. ასევე, მედიატორმა უნდა განუმარტოს მხარეებს რა დადებითი შედეგები მოყვება დავის მოლაპარაკებით დასრულებას. მათგან აღსანიშნავია: შინაარსობრივი კონტროლის შესაძლებლობა შედეგის მიმართ; კარგი ურთიერთობების შენარჩუნება დავის დასრულების შემდეგ; პრობლემის ყველაზე სწრაფად დასრულების შესაძლებლობა; მცირე ხარჯები; სასამართლოს განტვირთვა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, განსხვავება სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ მიღებულ სტრესსა და შთანხმებით დასრულებულ უმტკივნეულო შედეგს შორის.⁶⁶

3) პროცესუალური საკითხების განმარტება

მედიატორმა უნდა გაიაზროს, რომ მხარეები პროცესის დასაწყისში თავიანთ მოსაზრებებს ძალიან ემოციურად და ხშირ შემთხვევაში ხმამაღლა გამოხატავენ. შემდეგ ისინი იქცევენ მიღებული ინფორმაციის გააზრებას, იხსნიან დამაბულობას და საბოლოოდ საუბრობენ შეთანხმების პირობებზე, ან საერთოდ შეთანხმების შესაძლებლობაზე და საბოლოოდ აწერენ ხელს მიღწეულ შეთანხმებას. ამასთან, მხარემ უნდა იცოდეს, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გამოთქვას თავისი აზრი, რადგან თავშეკავება შესაძლოა გახდეს გარკვეული შესაძლებლობების დაკარგვის საფუძველი.⁶⁷

4) მედიაციი მონაწილეების როლის განმარტება

მედიატორმა პროცესის მოსამზადებელ ეტაპზევე უნდა აუხსნას მხარეებს ვინ არიან და რა ფუნქციები აქვს პროცესის მონაწილეებს. მედიატორის შესახებ მხარეებმა უნდა იცოდნენ, რომ ის არის მომლაპარაკებელი და ამავდროულად წამყვანი პირი მხარეთა შორის დავის შეთანხმებით დასრულების პროცესისა. მედიატორი თვითონ არც იღებს რაიმე სახის გადაწყვეტილებას, ის უბრალოდ ეხმარება მხარეებს პროცესის ყველა ეტაპზე მისი ინტერესების დაცვაში, აწარმოებს ურთიერთობას მხარეთა შორის, ნიშნავს შეხვედრებს, საზღვრავს შეხვედრის ადგილს, შესვენების

⁶⁶ გურიელი ა. მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოებასთან მიმართებაში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018, 73.

⁶⁷ იქვე, 74.

დროს და ყველა იმ ქმედებას ახორციელებს, რომელიც ზრდის მხარეთა შორის მორიგების ალბათობას.

მედიატორის ვალდებულებებიდან აღსანიშნავია ვითარების მხარეთათვის შემსუბუქება. მას არ შეუძლია თავის მიერ მიგნებული დავის გადაწყვეტის გზა გაუზიაროს რომელიმე მხარეს, რადგან ამით ის დაარღვევს პროფესიულ ეთიკას. მისთვის მნიშვნელოვანია, საბოლოოდ მხარეებს შესთავაზოს არგუმენტირებული, ორივე მხარის ინტერესზე მორგებული შეთანხმების გაფორმება.

68

თავდაპირველად, არც კანონით, არც პრაქტიკით იყო განსაზღვრული მედიატორისთვის საჭირო პროფესია ან აუცილებელი უნარჩვევები. მედიაციის პროცესის შესახებ არსებულ ლიტერატურაში განმარტებულია, რომ მედიატორი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც სპეციალური სწავლება აქვს გავლილი სხვადასხვა სფეროში. ის შეიძლება იყოს სასამართლოს თანამშრომელი, თვითონ მოსამართლე, უბრალო მოხალისე ან ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს პროფესიული უნარჩვევები და გარკვეული გამოცდილება კონფლიქტის მოგვარების კუთხით, რაც დაეხმარება საქმის სწორად წარმართვაში.⁶⁹ თუმცა, დღეის მდგომარეობით ვითარება იცვლება, რადგან 2020 წლის 27 ივნისს სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ რიგით მეორე კრებაზე დამტკიცდა მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამა. ეს პროგრამა წარმოადგენს „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დდგენილი მედიატორისთვის ამ პროფესიაში შესვლისთვის სავალდებულო კომპონენტს. პროგრამა გათვლილია იმისთვის, რომ მედიატორი აღჭურვოს თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, რაც მას ხელს შეუწყობს თავისი საქმის უკეთ წარმართვაში.⁷⁰

“მედიატორობის მსურველი პირის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებში შემოწმება, როგორც წესი, ხორციელდება ყოველწიურად, ორ ნაკადად: პირველი ნაკადი იწყება აპრილში (საგაზაფხულონაკადი), ხოლო მეორე ნაკადი - ოქტომბერში (საშემოდგომონაკადი). პროგრამაზე მიღება ხორციელდება წინასწარი რეგისტრაციის საფუძველზე, რომელიც ცხადდება იანვარში,

⁶⁸გურიელი ა. მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოებასთან მიმართებაში, კავკასიის საერთაშრისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018, 76.

⁶⁹წულაძე ა. სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016, 21.

⁷⁰ სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის დებულება, 2020 წლის 27 ივლისი.

საგაზაფხულო ნაკადისთვის და სექტემბერში, საშემოდგომო ნაკადისთვის.”⁷¹ ეს დებულება ითვალისწინებს საერთო წესისაგან განსხვავებულ მიდგომებს, რომელიც მოიცავს სამ საფეხურს, რომლებიცაა ტრენინგი, პრაქტიკული უნარ-ცვალებების შემოწმება, პროცესის გაძლიერების რეალური შესაძლებლობა. რეალურად მედიაცია ყალიბდება როგორც პროფესია და მისასაღმებელია, რომ 2021 წლიდან, ამ გადაწყვეტილების წყალობით, საქართველოში უკვე გვეყოლება სათანადოდ მიღებული სპეციალური ცოდნით და შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილებით აღჭურვილი, პროფესიით სერთიფიცირებული მედიატორები, რომლებიც რათქმუნდა ძალიან ამაღლებენ საზოგადოებრივი ნდობის საზომს ზოგადად მედიაციისა და მისი ყველა „სახეცვლილების“, მათ შორის სასამართლო მედიაციის მიმართ.

8. კონფიდენციალობა

8.1. კონფიდენციალობის პრინციპის შეზღუდვის მექანიზმი

ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც მედიაციას მისაღეს ხდის, არის მისი უსაფრთხოება. იმ შემთხვევაშიც, თუ მხარეები ვერ რიგდებიან, პროცესის მიმდინარეობისას გამჟღავნებული ინფორმაცია არ არის მათთვის ზიანის მომტანი. სასამართლო ასე თუ ისე საჯარო სივრცეა და შესაძლოა მხარეებს არ ქონდეთ სურვილი მათი ნებისმიერი პრობლემის, იქნება ეს ოჯახის წევრთან კონფლიქტი თუ სამსახურთან დაკავშირებული, გაიტანონ სააშკარაოზე. სასამართლოსგან განსხვავებით მედიატორს შეუძლია მოიპოვოს ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა მხარემ გარკვეული მიზეზების გამო არ თქვას სასამართლო პროცესზე. ამიტომაც არის სასამართლო მედიაცია პრივილეგირებული იმით, რომ მას აქვს კონფიდენციალური ინფორმაციაც კი და შესაბამისად მეტი შესაძლებლობა მხარეთა ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით დაეხმაროს მათ გამოსავლის პოვნაში. სწორედ ამიტომ, კონფიდენციალურობის დაცვა არის

⁷¹ მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის დებულება, 2020 წლის 27 ივლისი.

მედიაციის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი, რომლიც უზრუნველყოფის გარეშეც წარმოუდგენელია პროცესი.⁷²

კონფიდენციალურობის დაცვის მაღალ ინტერესს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104 მუხლიც, რომლის მიხედვითაც სასამართლო მტკიცებულებად არ მიიღებს სასამართლო მედიაციისას გამჟღავნებულ ინფორმაციას ან დოკუმენტს. ამავე მუხლში მითითებულია, რომ არსებობს გამონაკლისი ამ დებულებიდან იმ შემთხვევაში, თუ მითითებ მტკიცებულებებს სასამართლოში წარმოადგენს თვითონ მხარე, ან ის მოპოვებულია კანონით დადგენილი წესით. რაც შეეხება სსსკ-ის 1878 მუხლს, საერთოდ კრძალავს მედიაციის პროცესში მიღებული ინფორმაციის გავრცელებას როგორც მხარეების, ასევე მედიატორის მხრიდან.

ამასთან, სსსკ-ის 141 -ე მუხლის მიხედვით არ შეიძლება მედიატორი დაკითხულ იქნეს როგორც მოწმე იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რაც მედიაციის წარმოებისას იქნა მისთვის ცნობილი.⁷³

„სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე მედიაციის გარკვეული ასპექტების შესახებ“ ევროპული დირექტივის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ მედიატორის მოწმედ დაკითხვა და მისი პროფესიული საქმიანობისას მიღებული ინფორმაცია აუცილებელია ქვეყნის საჯარო წესრიგის, კონკრეტულად კი ბავშვის ინტერესების დასაცავად ან მედიაციისას მიღწეული შეთანხმების აღსასრულებლად, დასაშვებია, გამონაკლისის სახით, რომ მედიატორი დაკითხოს მოწმედ. ასეთ დათქმას არ შეიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რაც ალბათ ჯერჯერობით მეტნიატორთა დაბალი პროფესიული დონის და კვალიფიკაციის გამო შესაძლოა რისკის შემცველი იყოს.⁷⁴

ევროდირექტივის ამ მუხლს ყავს ბევრი კრიტიკოსი, რომლებიც თვლიან, რომ მედიაციის პროცესში მოპოვებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებითვის კარგვეული დათქმების კანონით გათვალისწინება საბოლოოდ დააზარალებს მედიაციის ინსტიტუტს და საფრთხეს შეუქმნის კონფიდენციალურობის პრინციპს. ყურადღება უნდა გავამახვილოთ შემდეგ

⁷² აბრამიშვილი ა., მედიაციის სისტემების შედარებითი ანალიზი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის მაგალითზე, საქართველოში მედიაციის განვითარების პერსპექტივა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2017,75.

⁷³ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 1997, მ. 141.

⁷⁴ აბრამიშვილი ა., მედიაციის სისტემების შედარებითი ანალიზი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის მაგალითზე, საქართველოში მედიაციის განვითარების პერსპექტივა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2017,76.

საკითხზე, რომ დავები რომლებიც სასამართლოში ხვდებიან, თავისთავად უკვე არიან საჯარო ინტერესის საგანი, თუ ეს არ არის მხოლოდ ფიზიკურ პირებს შორის რაიმე ვიწრო ასპექტის კერძოსამართლებრივი დავა. შესაბამისად, სასამართლოს უნდა ქონდეს წვდომა ყველა სახის მტკიცებულებასთან, რამაც შესაძლოა შედეგზე იქონიოს გავლენა. შესაბამისად, ამ საკითხში აბსოლიტურად უნდა იყოს დაცული მედიაციის ძირითადი არსის, კონფიდენციალურობის პრივილეგის სტანდარტისა და საჯარო ინტერესის ბალანსი იყოს დაცული.⁷⁵

9. მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლებთან დაკავშირებული ხარვეზები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სხვადასხვა სახელმწიფოში ხელისუფლების ორგანოები სხვადასხვა დოზით ერევიან სასამართლო მედიაციის პროცესში. გამომდინარე იქედან, რომ ხელისუფლების მხრიდან ჩარევა გულისხმობს ამა თუ იმ პროცესის საკანონმდებლო დონეზე რეგულირებას, ის ვალდებულია ეს ჩარევა იყოს ისეთი, რომ ქმნიდეს მყარ ბაზას კონკრეტული მიმართულებისთვის კანონში გაწერილი მუხლების დონეზე, რათა შეძლებისდაგვარად სრულად იყოს მოწესრიგებული ყველა ის ურთიერთობა, რომელშიც თავის მხრივ ერევა სახელმწიფო. კონკრეტულად, სასამართლო მედიაციის პროცესს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოსამართლე და მისი როლი ამ კუთხით უნდა იყოს დეტალურად რეგულირებული.⁷⁶

განსახილველ საკითხთან მიმართებით, საჭიროა სახელმწიფოს მიერ მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რადგან სასამართლო მედიაციის პროცესში უმნიშვნელოვანესია მოსამართლის როლი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსით თითქმის არ არის განსაზღვრული მისი უფლებამოსილების ფარგლები. თავისთავად, მარეგულირებელი ნორმების სიმწირე განსაზღვრავს მოსამართლის მოქმედების არეალის შემცირებას და ცხადია, მისი როლის გააქტიურებით ინსტიტუტი გახდება უფრო სრულყოფილი, განხორციელდება მისი

⁷⁵ ყანდაშვილი ი. საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი 2018.

⁷⁶ გურიელი ა. მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოებასთან მიმართებაში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018, 126.

დამკვიდრებისას დასახული მიზნები, შედეგს გამოიღებს სახელმწიფოს მიერ ჩადებული შრომა ამ სფეროში, სწორი მიმართულებით ჩამოყალიბდება პრაქტიკა და მოქალაქეებიც, ვინც ისარგებლებენ ამ პროდუქტით, მიიღებენ მაქსიმალურ სარგებელს. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და სასამართლო მედიაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა უნდა იხდებოდეს მოსამართლის როლის გააქტიურებისაკენ, საქმის სწორად და სამართლიანად გადაწყვეტის მიზნით.⁷⁷

მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მედიაციის ეტაპებს და მონაწილეების მიერ სავალდებულოდ შესასრულებელ ქმედებებს, სამეცნიერო კვლევებში განვითარებული მოსაზრების მიხედვით ძირითადად გამოიყოფა შემდეგი ეტაპები:

1. პროცესის წარმოება;
2. წინარე კონფერენცია;
3. მხარეთა პოზიციების წინასწარ წარმოდგენა;
4. მედიაციის მთავარი სესია;
5. მედიაციის დასკვნითი ნაწილი, რაც თავისთავად მოიცავს შეთანხმების გაფორმების პროცედურას, ასეთის მიღწევის შემთხვევაში.

ამ ეტაპების საკანონმდებლო დონეზე რეგულირების შესაძლებლობით მივიღებთ წესრიგს და თავიდან ავიცილებთ პროცესის არასათანადოდ განვითარების შესაძლებლობას და მისი მონაწილეების მხრიდან არაადეკვატურ ქცევას. ამ ყველაფრის განსაზღვრა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც სავალდებულო მედიაციის დროს, განსხვავებით ნებაყოფლობითისა, სახეზე გვაქვს უფრო მეტი ფორმალური საკითხი.⁷⁸

მეტი სიცხადისთვის, სასამართლო მედიაციის პროცესუალურ საკითხებზე მსჯელობისას, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ვადებთან დაკავშირებულ რეგულირებას, რომელიც არ აძლევს არაკეთილსინდისიერ მხარეს გამოიყენოს სასამართლო მედიაცია სამართლიანი სასამართლო განხილვის თავიდან აცილების საფუძველად. როგორც ნაშრომში უკვე აღინიშნა, ეს რეგულირება ხარვეზიანია იმ გაგებით, რომ მხარეს კანონით გათვალისწინებულ ვადაში შესაძლოა არ ქონდეთ შესაძლებლობა მორიგდნენ, რაც ცხადყოფს არსებული რეგულირების ხრავებს. ამ საკითხთან მიმართებით, მოსამართლეს უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება, თუ იარსებებს საფუძველი

⁷⁷ გურიელი ა. მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოებასთან მიმართებაში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018, 139.

⁷⁸ იქვე, 141.

ობიექტური შეფასებით, გონივრული ვადით გააგრძელოს სასამართლო მედიაციის წარმოების ვადა. ამასთან, მას უნდა ქონდეს მხარეების თანხმობა ამ საკითხთან დაკავშირებით. ბუნებრივია, დაუშვებელია მოსამართლის მხრიდან საქმის გონივრულ ვადაზე მეტი ხნით გაგრძელების შესაძლებლობა და ვადის გაგრძელების ამგვარი შესაძლებლობა უნდა იყოს პირობადადებული. უნდა მოიაზრებდეს მოსამართლის შესაძლებლობას, მოსამართლემ ყოველი კონკრეტული შემთხვევის დროს ყველა საქმეზე ინდივიდუალური და ობიექტური შეფასებით მიიღოს გადაწყვეტილება, რამდენ ხანში უნდა განიხილოს სასამართლო მედიაციამ საქმე.⁷⁹

ანა გურიელის მოსაზრებით, არანაკლებ საინტერესოა სასამართლოს წარმოებაში მიღებული საქმის სასამართლო მედიაციისთვის გადაცემის შესახებ მიღებული, გასაჩივრებას რომ არ ექვემდებარება ისეთი განჩინების საკითხი. აღნიშნული უნდა შეფასდეს დადებითად და შინაარსობრივად იგივე მიდგომა უნდა შენარჩუნდეს საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემდეგაც. ასევე, მოსამართლეს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა თვითონ წარმართოს მედიაციის პროცესი თუ ამაზე თანხმობა ექნება მხარეების მხრიდან.⁸⁰

ნებისმიერი სამართლებრივი სისტემისა და მათთან ერთად ქართული სამოქალაქო სამართლის უმთავრესი ამოცანაა მოწესრიგდეს სასამართლო მედიაციასთან დაკავშირებული ნორმები და ეს მოხდეს არა მხოლოდ საკანონმდებლო, არამედ პრაქტიკულ დონეზეც. უცხოური სამართლებრივი სისტემების საკანონმდებლო რეგულირებებისა და პრაქტიკული თვალსაზრისით კარგი იქნება, თუ საქართველოს მასშტაბით მოქმედ სასამართლოებში, მათ შორის სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციებში დაინერგოს სასამართლო მედიაციის პროგრამა, რათა მხარეებმა შეძლონ მიმართონ მედიაციას სასამართლო დავის ნებისმიერ სტადიაზე. შესაძლოა ამ მიდგომის დანერგვას უფრო გაემარტივებინა მთელი სამართალწარმოება, რადგან აბსოლიტურად შესაძლებელია მხარეები საქმის სააპელაციო დონეზე წარმოების შემთხვევაშიც იდგნენ იმ რეალობის წინაშე, რომ შესაძლებელი იყოს დავის მოგვარებით დასრულება.⁸¹

⁷⁹ გურიელი ა. მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოებასთან მიმართებაში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018, 144.

⁸⁰ იქვე, 146.

⁸¹ იქვე 148.

10. სასამართლო მედიაციის გამოწვევები საქართველოში

10.1. ინსტიტუტის დამკვიდრებასთან დაკავშირებული ხარვეზები

უდაოა, რომ ქართულ მართლმსაჯულებაში, მედიაციის ინსტიტუტის დამკვიდრებისა და ეფექტური მუშაობისთვის აუცილებლობას წარმოადგენს როგორც მარეგულირებელი ნორმების სრულყოფა, ასევე მის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები. როგორც პრაქტიკიდან ჩანს, კანონის განმარტებიდან გამომდინარე მიზნების მიღწევა ვერ მოხერხდა სრული შესაყტვისობით, რადგან თავი იჩინა პრაქტიკაში გამოვლენილმა ხარვეზებმა. მათი უგულვებელყოფა კი კანონმდებლის მიერ იწვევს ამ პროცესში ჩართული ადამიანების, მათ შორის იურისტების მხრიდან სკეპტიკურ დამოკიდებულებას. ამასთან, სამოქალაქო საზოგადოების ნდობის საკითხის არ არსებობასაც. ინსტიტუტის წასახალისებლად საჭიროა ამოქმედდეს დამატებითი ასე ვთქვათ სტიმულატორები, რომლებიც მომხმარებლებისა და მოსამართლეებისთვისაც იქნებ ამომზიდველი. ასეთი შეიძლება იყოს:

1. მედიაციის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში სასამართლო განხილვისას ამ საქმისთვის პრიორიტეტის მინიჭება. უფრო კონკრეტულად, როცა საქმე სასამართლოში დაბრუნდება, ძალიან კარგი იქნება „მედიაციანაცად“ საქმეებზე პროცესები ჩაინიშნოს პრიორიტეტულად. ამისთვის კი საჭირო იქნება, შევიდეს ცვლილება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შემუშავებულ საერთო სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესში.
2. მოხდეს მოსამართლეების მოტივაციის გაზრდა, და მედიაციით დამთავრებული საქმეები დადებითად აისახოს მათ პირად საქმეებში და იმოქმედოს მათი დაწინაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.⁸²

პროცესის ეფექტურ ადმინისტრირებასთან ერთად მედიაციის შემდეგ გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოების ცნობიერების გაზრდა სასამართლო მედიაციასთან მიმართებით. ამ საკითხის თავის თავზე აღება შეუძლია განათლების სამინისტროს სკოლებში მიტანილი ინფორმაციის საფუძველზე, რათა თავიდანვე ბავშვებმა მიიღონ თუნდაც მცირედი ინფორმაცია ამ ინსტიტუტის შესახებ და სხვა თუ არაფერი უბრალოდ საზოგადოებრივი ინფორმირებულობის დონეზე იყოს ახალი თაობისთვის ცხადი, რომ არსებობს სასამართლოს მსგავსი, თუმცა კი

⁸² წულაძე ა. სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016, 141.

პრინციპებით და პროცესუალურად განსხვავებული სასამართლო მედიაციის ინსტიტუტი და დღეისთვის მიღებული მარეგულირებელი ნორმების მეშვეობით მათ შეუძლიათ დაეფლონ კიდევაც სფეროს, როგორც პროფესიას, გახდნენ მედიატორები. მითუმეტეს ამ საკითხის ქართული საზოგადოებისთვის მიწოდება არ არის რთული, რადგან ყველასთვის პატივსაცემი ილია ჭავჭავაძე მეფის რუსეთის პერიოდში იყო ერთ-ერთ სასამართლო მედიატორის პოზიციაზე და ის ფაქტი, რომ ის წერდა კიდევაც ამის შესახებ, არის ძალიან კარგი გამართლება ამ ინსტიტუტის ღრმად დასანერგად ქართულ საზოგადოებაში.⁸³

11. საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციები

11.1. საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციები

ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე საქართველოში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებებთან დაკავშირებით გაიმართა რამდენიმე კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ უცხოელი ექსპერტები და ძალიან საინტერესოა მათი რეკომენდაციები ამ ინსტიტუტის საქართველოში განვითარებასთან დაკავშირებით.⁸⁴

მიხეილ ბლუხმანის ანგარიში ეხებოდა არა მხოლოდ სასამართლო მედიაციას, არამედ მთლიანად დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შებასებას. ამ შეფასების მოსამზადებლად მან შეხვედრები გამართა მოსამართლეებთან, არბიტრებთან, ადვოკატებთან და სამეცნიერო წრის წარმომადგენლებთან. ის აღნიშნავს, რომ საქართველოში მეტი ინტერესია მედიაციის კუთხით, ვიდრე არბიტრაჟის. უცნაური ის არის, რომ მისი საქართველოში ყოფნის პერიოდისთვის გვქონდა მხოლოდ არბიტრაჟის შესახებ კანონი და მედიაციის მარეგულირებელ ნორმებზე არც იყო დაწყებული მუშაობა. თავისთავად, არ არსებობდა სასამართლო მედიაციაც და რათქმაუნდა რთულად დასაჯერებელია ჯერ ვერმოქმედი ინსტიტუტის უპირატესობა უკვე თუნდაც საკანონმდებლო დონეზე რეგულირებული ინსტიტუტის მიმართ. მისი შეფასებით-„პერსპექტივა

⁸³ წულაძე ა. სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016, 141 .

⁸⁴ იქვე, 142

საქართველოში მედიაციის განვითარებისა, არის საკმაოდ კარგი, რამდენადაც მისი საჭიროება მოსამართლეთა, იურისტებისა და იურიდიული სკოლების მიერ არის დადასტურებული და არსებობს პოტენცია რეალიზებულ იქნეს სწორედ ისეთი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარებას⁸⁵.

მოხსენებაში ექსპერტმა ასევე ჩამოთვალა საკითხები, რომლებიც უნდა გაეთვალისწინებინა საქართველოს სხვა ამ საკითხში განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან და ესენია: იუსტიციის სამინისტროსა და სასამართლო ხელისუფლებას შორის თანამშრომლობა; მედიაციასთან დაკავშირებული ადგილობრივი კადრების დატრენინგება უცხოელ ექსპერტებთან; კანონმდებლობის მიღება, რომელიც შესაბამისი იქნება უნსიტრალის მოდელური კანონისა და ევროკავშირის დირექტივების; პილოტური პროექტის დაწყება მედიაციის პროცესის თვალსაჩინოებისთვის; საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად სხვადასხვა კამპანიის დანიშვნა და მდგრადი სამეციადიო ცენტრების შექმნა. ჩამოთვლილთაგან, როგორც ვიცით, რამდენიმე პუნქტი განხორციელდა, მათ შორის ზოგი წარმატებით, ზოგიც ჯერჯერობით ვერა.

აღემ ზალარის (დავების გადაწყვეტის ევროპული ცენტრი) მოხსენება მედიაციის საკითხებზე შეიძლება ითქვას არის ყველაზე სრულყოფილი სხვებთან შედარებით. ექსპერტის მმიზანი იყო დაედგინა, რამდენად პერსპექტიული იყო დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება-მედიაცია საქართველოში. ამისთვის ის გაეცნო სასამართლოსთან არსებულ საპილოტე პროგრამას და შეხვდა „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი განვითარების პროგრამის“ მრჩეველებს. მას მიაჩნია, რომ მედიაციის განსავითარებლად საქართველოში პრობლემური საკითხებია დავის ალტერნატიული საშუალებების განვითარების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტის არარსებობა და ამ პოლიტიკის განვითარების მიზნით ერთიანი მუდმივმოქმედი საკონსულტაციო ორგანოს არ არსებობა, რომელიც მაკოორდინირებელი ორგანოს ფუნქციასაც შეასრულებდა. შესაბამისად მედიაციის განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორად დასახელდა ამ პროცესში ჩართული მხარეების მიერ ინფორმაციის გაცვლისა და ერთიანი ხედვის არ ქონა. მისი მოსაზრებით, კანონმდებლობის ნაკლოვანებებია : სამოქალაქო საპროცესო კოდექსში სასამართლო მედიაციის თავის შეუსაბამობა ინსიტრალის კანონთან; სასამართლო მედიაციის დაფინანსების საკითხოს მოუწესრიგებლობა; ფინანსური თვალსაზრისით სასამართლო

⁸⁵ წულაძე ა. სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016, 143.

მედიაციისა და კლასიკური მედიაციისას მიღწეული შეთანხმების არათანაბარ პირობებში დაყენება; მინიმუმ ორი შეხვედრის გამართვის ვალდებულება;⁸⁶

ანგარიშის სასამართლო მედიაციის ნაწილში მოცემულია რეკომენდაციები არა მხოლოდ სასამართლოსთან, არამედ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან მიმართებაშიც. კერძოდ, ექსპერტი უთითებს, რომ კარგი იქნება მოსამართლეების „ინდივიდუალური სტატისტიკის ფორმებში“ ჩაემატოს ინფორმაცია მედიაციისთვის გადაცემული საქმეების შესახებ. ასევე, ხაზგასმულია მედიატორთა ანაზღაურების საკითხი, სამედიაციო ცენტრების შექმნა და შესაბამისი ბიუჯეტის გათვალისწინება.⁸⁷

მისი აქ ყოფნის პერიოდში მოეწყო შეხვედრები მედიაციის პროცესის განვითარებაში ჩართულ სხვადასხვა უწყებებთან, რომლებთანაც იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მედიაციის განვითარებისთვის სამოქმედო გეგმის შემუშავების საკითხს. დასკვნის სახით მან ჩამოაყალიბა, რომ საქართველო უნდა გადასულიყო მედიაციის პროგრამებისთვის აუცილებელი აგრესიული მიზნების დასახვის ეტაპზე, რაც მოიცავდა განსაზღვრული რაოდენობის საქმეების სასამართლოდან სასამართლო მედიაციაში გადაცემის შესაძლებლობას და შემდეგ სტატისტიკის წარმოებას, რამდენი საქმე დასრულდებოდა გადაცემულთაგან მორიგებით და რამდენი იქნებოდა პროცენტულად კმაყოფილი მხარეთაგან; ასევე, მნიშვნელოვანი საკითხი იყო მედიაციის პროცესის მიმართ მართლმსაჯულების პოლიტიკის შემუშავებელი პირების მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან; მედიატორთა აკრედიტაცია (რომელიც დღეის მდგომარეობით მოგვარებულია თითქმის და 2021 წლიდან გვეყოლება პროფესიით მედიატორი პირები).⁸⁸

მიუხედავად იმისა, რომ ალემ ზალარი საქართველოში მცირე ვადით იმყოფებოდა, მან მოახერხა სიღრმისეულად ჩასწვდომოდა მედიაციის დამკვიდრების ხელისშემშლელ ფაქტორებს და მისი მოსაზრებით ეს არის არა ტექნიკური ან საკანონმდებლო სივრცის ხარვეზი, არამედ მედიაციის განვითარებით დაინტერესებულ პირთა და უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლის, შეთანხმებული მუშაობისა და პროცესების ერთობლივად გაძლიერების შუძლებლობის პრობლემა.⁸⁹

⁸⁶ წულაძე ა. სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016, 146.

⁸⁷ იქვე, 147.

⁸⁸ იქვე, 148.

⁸⁹ იქვე, 148.

„ფონდ სამართლის უზენაესობის ინიციატივის“ დამფუძნებლის ვიქტორ შახტერის მიერ საქართველოში კვლევა უკავშირდებოდა ასევე სასამართლო მედიაციას. ამ კუთხით ექსპერტმა შეიხწავლა სასამართლო მედიაციის მარეგულირებელი ნორმები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსიდან მის პარტნიორთან ერთად შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც დაიყო მალა, საშუალო მალა და საშუალო პრიორიტეტებად. მალა პრიორიტეტთა ნუსხაში მოხვდა შემდეგი საკითხები: თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე საპილოტე პროგრამის მეორე ეტაპზე გადასვლა, რაც თავისთავად ნიშნავს სავალდებულო მედიაციის დამკვიდრებას; სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელშიც ერთიანდებოდა ყველა დაინტერესებული მხარე და ერთიანად გეგმავდნენ თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში სასამართლო მედიაციის დანერგვის საშუალებებს; მედიაციის ცენტრების მიმართ მიმართვიანობის გაზრდა; მოსამართლეების მიერ მედიაციის ტრენინგის გავლა, რაც აუმაღლებდა მათ შინაგან რწმენას ამ ინსტიტუტის სანდოობის მიმართ და რაც შეიძლება მეტ საქმეს გადასცემდნენ სასამართლო მედიაციას; ადვოკატთა ტრენინგი, მედიაციის პროცესში წარმომადგენლობისთვის საჭირო უნარების შესაძენად; სასამართლო მედიაციის განსახილველი დავების არეალის გაზრდა; მოსამართეთა და სასამართლოს მოხელეთა წინასწარ მომზადება; საზოგადოების ცნობიერების გაზრდა და მისით დაინტერესებული საზოგადოების შექმნა; სასამართლო სისტემაში მედიაციასთან დაკავშირებული თანამდებობების შექმნა; ამ ანგარიშთან მიმართებით შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად პრაქტიკაზეა აგებული და არ შეიცავს სამართლის ნორმის რაიმე სახის ანალიზს.⁹⁰

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სამივე ექსპერტის აზრი ასე თუ ისე ემთხვევა ერთმანეთს და სამივეს მოსაზრებით ახლადდანერგილი ინსტიტუტის განვითარებაში დიდ როლს თამაშობს პრაქტიკული კუთხით შექმნილი პირობები, ვიდრე მხოლოდ კანონში ზოგადად გაწერილი ნორმები, რომლებსაც თავისთავად სხვადასხვა ქვეყნებში არსებული სხვადასხვანაირი რეგულირებიდან გამომდინარე, რაც არ უნდა სრულყოფილი იყოს, მაინც აქვს ხარვეზი, რომელსაც ყოველთვის ავსებს პრაქტიკა.

⁹⁰ წულაძე ა. სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016, 150.

12. კვლევის შედეგები

კვლევის ყველა თავი დაწერილია მოძიებულ თეორიულ მასალაზე დაყრდნობით, რომელიც განხილულია ლიტერატურის მიმოხილვის თავში. შემდეგ იქცევა კონკრეტულად მედიაციის ცნებაზე და მის არსზე საუბარი. კონკრეტულად, რას ნიშნავს, რას მოიცავს, რა პრინციპებზეა დაყრდნობილი, როდის წარმოიშვა და როგორ ვითარდება იგი დღეის მდგომარეობით.

შემდეგ თავში განხილულია მედიაციის ერთერთი სახეცვლილების, სასამართლო მედიაციის არსი. გაკეთებულია ექსკურსი ქვეყნის უძველეს ისტორიაში და მიჩნეულია, რომ სასამართლო მედიაცია არ არის საქართველოსთვის ნოვაცია, რადგან არსებობდა მასთან ძალიან მიახლოებული ბჭე-მედიატორებისა და საზოგადოებისა თუ სახელმწიფოსგან არჩეული სხვადასხვა სტატუსის მქონე, სასამართლოს გარეშე დავის განმხილველი პირების მთელი რიგი ჩამონათვალი, რომლებიც წყვეტდნენ დავებს.

შემდგომ თავში კონკრეტულად არის მიმოხილული სასამართლო მედიაციის მარეგულირებელი ნორმები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად და აქვე ხაზგასმულია ნორმებში არსებული ხარვეზები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია კონკრეტული საკითხების რეგულირების არარსებობასა და საჭიროებასთან.

ცალკე განხილულია მედიატორის ვინაობა. ვინ უნდა იყოს, რა ფუნქციები გააჩნია მას და რა ხარვეზს შეიცავდა კანონმდებლობა მის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, თუმცა ეს პრობლემა დღეის მდგომარეობით გადაჭრილია, გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს მედიატორთა ასოციაციამ დააწესა მედიატორის სერთიფიცირების პროგრამა და ის უკვე გახდა პროფესია. შესაბამისად კვლევამ ცალსახად აჩვენა ამ კუთხით პრობლემისა და მისი გადაჭრის გზა.

ასევე, განხილულია კანონმდებლობის, შესაძლოა ითქვას, ხარვეზი მოსამართლის სასამართლო მედიაციასთან დაკავშირებული უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით რადგან დღესაც არ არის კონკრეტულად გაწერილი კანონმდებლობაში მისი უფლებების და საერთოდ ქცევის სტანდარტის შესახებ. ასევე, საუბარია მედიაციის ერთერთი უმთავრესი პრინციპის-კონფიდენციალურობის დაცვაზე, რომელიც განხილულია სხვადასხვა ჭრილში და ხაზგასმულია მედიატორის მიერ პროცესის მიმდინარეობისას მიღებული ინფორმაციის ინფორმაციის საჯარო ინტერესის არსებობის ფარგლებში გამჟღავნების მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების პოზიციები

და ბოლოს საერთაშორისო ექსპერტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები ამ ინსტიტუტის განვითარებასთან დაკავშირებით.

დასკვნა

საბოლოოდ, ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის მიხედვით, სასამართლო მედიაციის განვითარების დონე საქართველოში შეიძლება შეფასდეს საშუალოდ, რადგან სახელმწიფოში, რომელშიც უძველესი დროიდან ისედაც არსებობდა სასამართლო მედიაციის შესაძლოა ითქვას წინამორბედი ინსტიტუტი, ვფიქრობ ძალიან დიდი დრო დასჭირდა ფეხის მოსაკიდებლად.

რეალურად, მედიაცია უფრო აღქმულია საზოგადოების მხდრიდან, ვიდრე სასამართლო მედიაცია. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ საქართველოში არ გატარებულა რაიმე ისეთი ღონისძიება, რაც მოახდენდა სამოქალაქო საზოგადოების კარგად ინფორმირებას ამ ინსტიტუტთან დაკავშირებით. ვთვლი, რომ მედიაციის შესახებ ცნობილია მხოლოდ მოქმედი იურისტებისთვის, ასევე იმათთვის, ვინც კონკრეტულად რაიმე სახით ჩართულია ამ ინსტიტუტის განვითარებაში და სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. შესაძლოა ამ რიცხვს მიეკუთვნებოდეს საქართველოში საკანონმდებლო დონეზე განხორციელებული ცვლილებების თვალყურის მადევნებელი საზოგადოებაც, რომელიც რათქმაუნდა არ ერკვევა სიღრმისეულ საკითხებში. მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის, განსაკუთრებით რაიონებში არ არის ცნობილი დავის გადაწყვეტის ამ ალტერნატიული საშუალების შესახებ. ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე მათთვის უფრო ცნობილია არბიტრაჟის შესახებ, რადგან მას სავალდებულო ძალა აქვს მედიაციისგან განსხვავებით და მოქალაქეებს, რომლებსაც უწევთ ხელშეკრულებების გაფორმება ამა თუ იმ ორგანიზაციებთან, დავის წარმოშობის მომენტში იღებენ მონაწილეობას საარბიტრაჟო განხილვაში და შესაბამისად პრაქტიკა უფრო აღქმადია, ვიდრე თეორია. აქვე დავამატებდი, რომ მედიაციის ერთერთი სახეცვლილების და ამ ეტაპზე განხილული -სასამართლო მედიაციის შესახებ პროცენტულად უფრო ნაკლები ინფორმაციაა ცნობილი, რადგან მის შესახებ მხარე იგებს მხოლოდ დავის არსებობის შემთხვევაში. კარგი იქნება ყველა იმ ორგანიზაციამ, რომელიც ჩართულია მედიაციის განვითარების პროცესში, იზრუნოს იმაზე, რომ აამაღლოს საზოგადოების ცნობიერება ამ ინსტიტუტთან დაკავშირებით სხვადასხვა აქტივობებით, განსაკუთრებით რაიონებში.

რაც შეეხება კონკრეტულად სასამართლო მედიაციის სავალდებულობას და მის დამკვიდრებას, ფაქტია, რომ კანონმდებელი, მართალია ძალიან ნელი ნაბიჯებით, მაგრამ მაინც ცდილობს ამ ინსტიტუტთან დაკავშირებული ურთიერთობები ევროდირექტივების შესაბამისად მაქსიმალურად გაწეროს კანონში. ქვეყანაში არსებული სხვადასხვა ინსტიტუტებიც შეძლებისდაგვარად არიან ჩართულები გარკვეული ხარვეზების შევსების საქმეში. ამაზე მეტყველებს საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მიერ ამა წლის ივნისში მიღებული გადაწყვეტილება მედიატორის სერთიფიცირებასთან დაკავშირებით და ეს ნაბიჯი, რომელსაც საქართველო პრაქტიკული თვალსაზრისით უკვე 2021 წლიდან (დებულების ამოქმედება) გადადგამს, არის სწორედ იმ მთელი რიგი ხარვეზის და კითხვის ნიშნებისთვის გაცემული პასუხი მედიატორის პიროვნებასთან დაკავშირებით.

დღეის მდგომარეობით მოუწესრიგებელია მოსამართლის უფლებებთან დაკავშირებული დეტალები. არცერთი ნორმით არ რეგულირდება და დღემდე პასუხგაუცემელია კითხვა- რა პრინციპით უნდა გადაწყვიტოს მან კონკრეტული დავის სასამართლო მედიაციისთვის გადაცემის საკითხი. კარგი იქნება თუ კანონმდებელი გაითვალისწინებს ამ ხარვეზს და საპროცესო კოდექსში, გარდა სავალდებულო მედიაციის განსახილველი საქმეების ჩამონათვალისა, გვექნება განმარტება, კონკრეტულად როგორ უნდა გაარკვიოს მოსამართლემ გადასცეს თუ არა ეს დავები სასამართლო მედიაციას. ჩემი აზრით, თუ მოსამართლე დარწმუნებული არ იქნება იმაში, რომ მხარეები სასამართლო მედიაციაში საქმის განხილვით საქმეს დაასრულებენ შეთანხმებით, ვარაუდის დონეზე და მითუმეტეს, იმ პრაქტიკის ფონზე, რაც ახსნილია ნაშრომში- მხარეების ზოგჯერ მოჩვენებითად, მორიგების მოსურნე პირის შთაბეჭდილების დატოვების მისნით მონაწილეობა სასამართლო მედიაციაში, კი არ გააიოლებს საქმეს, რაც მედიაციის მთავარ პრინციპთაგანია, არამედ უფრო გააჭიანურებს მას და შესაძლოა მოდავე მხარისთვის დიდი ზიანის მომტანიც აღმოჩნდეს დროული გადაწყვეტილების არ არსებობა.

მიუხედავად ნაშრომში განხილული პოზიციებისა, სავალდებულო მედიაციის შესახებ, ჩემი აზრით არასწორია აპელირება იმაზე, რომ მედიაციის უმთავრესი პრინციპი-ნებაყოფლობითობა არ ირღვევა, გამომდინარე იქედან, რომ მოსამართლის მხრიდან მხარეებისთვის „დაძალეული“ სასამართლო მედიაციის დასასრული, ბევრ შემთხვევაში არის მოდავეების შეთანხმება. ვფიქრობ, იმ რეალობაში, როცა კანონით სრულყოფილად არ გვაქვს რეგულირებული საპროცესო კოდექსში ჩამოთვლილი დავებიდან მოსამართლის მიერ ამა თუ იმ დავის სასამართლო მედიაციისთვის

გადაცემის საფუძვლიანობის საკითხი, არ უნდა გვქონდეს მოლოდინი, რომ სადმე, რაიმე დროს მოსამართლის მიერ ნებაყოფლობითობის პრინციპის დარღვევა არ გამოიწვევს საზიანო შედეგს რომელიმე მხარისთვის. მაგალითად, თუ მოსამართლე მოსამზადებელ სხდომაზე მხარეებს შესთავაზებს საქმის სასამართლო მედიაციისთვის გადაცემას და ერთ-ერთი მხარე თანახმა იქნება ამაზე, ხოლო მეორე მხოლოდ იმიტომ დათანხმდება, რომ არ შექმნას მორიგების მოწინააღმდეგე მხარის შთაბეჭდილება და საბოლოოდ, რაიმე მიზეზის მოძიებით უარი თქვას საქმის შეთანხმებით დასრულებაზე, ძალიან ცუდ მდგომარეობაში აყენებს მეორე მხარეს. ამიტომ, რადგან მოსამართლეს პირდაპირ არ ევალება ყველა საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დავის პირდაპირ განუხილველად სასამართლო მედიაციისათვის გადაცემა და მან უნდა შეაფასოს (მხოლოდ უფლებამოსილება) გადაგზავნა-არ გადაგზავნის საკითხი და ამ დროს ძალიან რთულია კანონმდებლობით დაარეგულირო მოსამართლის შინაგანი რწმენის საკითხი, ვფიქრობ, კანონმდებელმა იფიქროს ზემოაღნიშნული დავების პირდაპირ სასამართლო მედიაციის წარმოებაში მიღების შესახებ. რეალურად, ასეთ შემთხვევაში იმ ჩამონათვალში მითითებული დავები, რომელიც საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია, რომ შეიძლება მოსამართლის გადაწყვეტილებით გადაეცეს სასამართლო მედიაციას, არ უნდა მიიღოს სასამართლომ წარმოებაში და დაწესდება მისი სავალდებულოდ სასამართლო მედიაციის მიერ განხილვის აუცილებლობა. ანუ, საბოლოოდ მივიღებდით სასამართლო მედიაციას, როგორც ამ კონკრეტულ დავებზე სასამართლოსთვის მიმართვამდე აუცილებელ წინაპირობას, გასავლელ საფეხურს. მართალია, ამით ნებაყოფლობითობის პრინციპი შეიძლება სრულად არ განთავისუფლდეს შეზღუდვისგან, მაგრამ სამაგიეროდ მოსამართლის კანონით მოუწესრიგებელი ქმედება არ იქნება უსამართლო რომელიმე მხარისთვის. სისტემის ასე მოწყობა კი რატომაც უნდა ძალიან დიდ როლს ითამაშებს სასამართლო მედიაციის- როგორც ინდტიტუტის საბოლოოდ დამკვიდრებას.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები:

1. ცერცვაძე გ., მედიაცია-დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბილისი, მერიდიანი, 2010;
2. ცერცვაძე გ. და სხვები., მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, თბილისი, 2013, 14;
3. წულაძე ა. სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2016;
4. გვენეტაძე ნ., მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე, სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში, თბილისი, 2017 წლის 28-29 აპრილი;
5. გურიელი ა. მოსამართლის უფლებამოსილების ფარგლები სასამართლო მედიაციის პროცესის წარმოებასთან მიმართებაში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2018;
6. ყანდაშვილი ი. საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თბილისი 2018;
7. ყანდაშვილი ი., მედიაცია-დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ახალი ფორმა და მისი საკანონმდებლო მოწესრიგების პერსპექტივა საქართველოში, სტატია;
8. აბრამიშვილი ა., მედიაციის სისტემების შედარებითი ანალიზი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის მაგალითზე, საქართველოში მედიაციის განვითარების პერსპექტივა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2017;
9. გვენცაძე ა. მედიაციის უპირატესობები სასამართლო განხილვასთან შედარებით, თბილისი 2020;

10. სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ მედიატორთა სერტიფიცირების პროგრამის დებულება, 2020 წლის 27 ივლისი;
11. ნინო გვენეტაძის, ევა გოცირიძის, ვახტანგ თორდიას, ლევან მურუსიძისა და კახა სოფრომაძის კოლეგიის მიერ შედგენილი კრებული „მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე“.

ნორმატიული აქტები:

12. საქართველოს სამოქალაქო აპროცესო კოდექსი, 1997;
13. საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“ 2019;

ვებ-გვერდები:

14. <https://www.myadvokat.ge/ka/about/11/mediacia>;
15. <https://matsne.gov.ge/document/view/4646868?publication=1>